The European Union for Georgia
ENPARD: Support to Agriculture and Rural Development

GIPA
In hoc signo vinces

ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2021-2024

ოქტომბერი 2020 წელი
ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი
www.akhalkalakilag.ge

MERCY CORPS

ELVA

West Cork DEVELOPMENT PARTNERSHIP

სარჩევი

რეზიუმე 3

1. მეთოდოლოგია - მონაწილეობითი დაგეგმვა და მისი მიზნები 4

2. ადგილობრივი განვითარების ჯგუფი – LAG 7

3. LDS-ის არეალი - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის პროფილი 10

3.1 რეგიონის აღწერა 10

3.2 სოციო-ეკონომიკური პროფილი 12

3.2.1 დემოგრაფია 12

3.2.2 ქალაქი და სოფლები 13

3.2.3 ჯანდაცვა 14

3.2.4 დასაქმება და შემოსავალი 14

3.3 ადგილობრივი მთავრობა და თვითმმართველობა 16

3.4 ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ძირითადი სერვისები და პროგრამები 16

3.5 განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა 16

3.5.1 განათლება და კვალიფიკაცია /უნარების განვითარება 16

3.5.2 სამოქალაქო ჩართულობა, გენდერული თანასწორობა და სოციალური ინკლუზია 18

3.5.3 სოციალური და კულტურული გარემო (საშუალებები, საქმიანობები და კულტურული მემკვიდრეობა) 19

3.6 ენერგია და კლიმატური პირობები 19

3.6.1 გეოგრაფიული და კლიმატური პირობები 19

3.6.2 განახლებადი ენერგია და კლიმატის ადაპტაცია 21

3.6.3ფლორა და ფაუნა 21

3.7 ბუნებრივი რესურსები 22

3.8 ადგილობრივი ინფრასტრუქტურა 23

3.9 ეკონომიკური განვითარება 25

3.9.1 ეკონომიკური საქმიანობის პროფილი 25

3.9.2 სოფლის მეურნეობა 26

3.9.3 ტურიზმი და რეკრეაცია 27

3.9.4 წარმოება და გადამუშავება 28

4. სექტორული შეჯამება და მომავალი განვითარების გამოწვევები 29

5. ადგილობრივი განვითარების სტრატეგია - LDS 34

6. LDS მოქმედების გეგმა –ინტერვენციის მატრიცა 35

7. საგრანტო განაცხადის პროცესი 40

8. მდგარდობა 40

9. სამოქმედო გეგმა 41

რეზიუმე

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია (LDS) ასახავს ევროკავშირის თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების (LEADER) მიდგომის თანამედროვე პრინციპებს, რომელიც მხარს უჭერს დაინტერესებულ მხარეთა ქსელს, ადგილობრივი ინიციატივების შეფასებასა და დამტკიცებას. LDS არის ადგილობრივი რესურსების მობილიზებისა და ადგილობრივი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი განვითარების პროექტების მხარდასაჭერი ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც იყენებს მარტვის ქვემოდან-ზემოთ მიდგომას.

LDS-ის განვითარება ფინანსდება ევროკავშირის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მიერ განხორციელებული ENPARD პროექტის "სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში" ფარგლებში. პროექტის ტექნიკურ მხარდაჭერას და პარტნიორობას უზრუნველყოფენ დასავლეთ კორკის განვითარების პარტნიორობის (ირლანდია) კონსულტანტები, მერსიქორფსი და ELVA საზოგადოებრივი ჩართულობა.

LDS-ი შემუშავებულია საკონსულტაციო პროცესისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სექტორში მოქმედი ადგილობრივი მოსახლეობის, თემების, ორგანიზაციებისა და კერძო პირების ფართო წარმომადგენლობითა და ჩართულობით. სტრატეგიის შემუშავებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა (LAG), რომელიც 30 წევრისგა ნშედგება. LAG-ის შემადგენლობაში არიან კერძო და საჯარო სექტორის სხვადასხვა დარგში დაკავებული აქტიური პირები, სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალო ბიზნესის, განათლების, კულტურის, სპორტის, გარემოს, დაცული ტერიტორიების, ადგილობრივი ხელისუფლების, სახელმწიფო ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

LDS ასახავს ადგილობრივ გამოწვევებს და ყურადღებას ამახვილებს მომავალი განვითარების შესაძლებლობებზე კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებითა და სპეციფიური სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და გარემოსდაცვითი ინტერვენციების მეშვეობით. ახალქალაქის LDS-ის მთავარი მიზანია:

ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიცირება, ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაცია და მუნიციპალიტეტის გადაქცევა უკეთეს საცხოვრებელ ადგილად

ამის მისაღწევად, LDS აყალიბებს შემდეგ ძირითად ამოცანებს:

- ადგილობრივი შემოსავლის გაზრდასა და ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას
- სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესებას განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში
- ადგილობრივი ტურიზმის პოტენციალის გაფართოებას, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციასა და მხარდაჭერას

- მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებასა და გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვას

LDS დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას ცდილობს სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი ინიციატივის მხარდაჭერით. ზემოთ აღნიშნული ENPARD-ის პროექტის "სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში" ფარგლებში ფონდები ხელმისაწვდომია ისეთი პროექტების მხარდასაჭერად, რომლებიც შეესაბამება LDS-ის პრინციპებს. აღნიშნულ საგრანტო სახსრებს ზედამხედველობას გაუწევს ახალქალაქის LAG-ი, რომელიც წარმოადგენს დასაფინანსებელი პროექტების შერჩევისა დაშეფასების მთავარი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. დეტალური ინფორმაცია ადგილობრივი განვითარების ჯგუფისა და ENPARD პროექტის საგრანტო კომპონენტის მექანიზმის შესახებ წარმოდგენილია ამავე სტრატეგიულ დოკუმენტში.

LDS დამტკიცებულია ახალქალაქის LAG-ის წევრების მიერ 2018 წლის 15 თებერვალს. დოკუმენტი განახლებულია 2020 წლის ოქტომბერში. დოკუმენტს თან ერთვის შემდეგი დანართები:

დანართი 1 - ახალქალაქის LDS განვითარების მიზნით თემების პრობლემების და საჭიროებების ძირითადი მიმოხილვა;

დანართი 2 - LDS განვითარების პროცესი;

დანართი 3 - LAG სქემა;

დანართი 4 - გრანტის სახელმძღვანელო;

დანართი 5 - ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაცია;

დანართი 6 - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ეთნიკურობა და გენდერული შემადგენლობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით;

დანართი 7 - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის პროფილი;

დანართი 8 - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ძირითადი სერვისები და პროგრამები;

დანართი 9 - "სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში" პროექტის გასვლის (Exit) სტრატეგია;

1. მეთოდოლოგია - მონაწილეობითი დაგეგმვა და მისი მიზნები

ტრადიციული, ზემოდან-ქვემოთ მიმართული სოფლის განვითარების პოლიტიკის არა ეფექტიანობის საპასუხოდ, დაახლოებით 30 წლის წინ ევროკავშირის ქვეყნებში შემუშავდა ქვემოდან-ზემოთ მიმართული, ეგრეთ წოდებული „LEADER" მიდგომა. LEADER - ი ფრანგული აბრივიატურაა ("Liaison Entre Actions de Développement de l'Économie Rurale") და ქართულად ნიშნავს „ქმედებათა ურთიერთ-კავშირს სოფლის ეკონომიკის განვითარებისათვის". ამ მიდგომის მთავარი იდეა მდგომარეობს შემდეგში - ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის და ორგანიზაციების წარმომადგენლები იყვნენ უბრალოდ ბენეფიციარები, უმჯობესია მოხდეს მათი ცოდნის, რესურსების გამოყენება და მათი აქტიური ჩართვა სოფლის განვითარების პროცესებში,

რადგან ადგილობრივმა აქტორებმა ყველაზე კარგად იციან ადგილობრივი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესახებ. ადგილობრივი მულტი-სექტორული თანამშრომლობა, სადაც კერძო, სამოქალაქო და სამთავრობო სექტორი მჭიდროდ თანამშრომლობს ერთმანეთთან მიიჩნევა "LEADER" მეთოდოლოგიის მთავარ პრინციპად და ამისათვის ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში შექმნილია „ადგილობრივი განვითარების ჯგუფები" (LAG). თითოეული LAG-ის მთავარ ამოცანას წარმოადგენს თანამონაწილეობის პრინციპით შეიმუშაოს და დაამტკიცოს „ადგილობრივი განვითარების სტრატეგია" (LDS), რათა ფოკუსირება მოხდეს ადგილოებრივ საჭიროებებზე მორგებული და ადგილობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით დასახული მიზნების მისაღწევად.

LEADER მეთოდოლოგიას შვიდი ძირითადი მახასიათებელი გააჩნია:

1. ეს მეთოდოლოგია ხორციელდება კონკრეტულ, ჰომოგენურ და სოციალურად შეკავშირებულ ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში, რომლის საერთო საჭიროებები და შესაძლებლობები აისახება LDS - ში.
2. ქვემოდან-ზემოთ მიდგომით, ადგილობრივი აქტორები ქმნიან LDS – ს და გეგმავენ შესაბამის აქტივობებს;
3. სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობა LAG - ებში, რომლებიც შექმნილია საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორის აქტორებისაგან, რომელთაც შესწევთ უნარი, რომ მობილიზება გაუკეთონ ადგილობრივ რესურსებს;
4. ინოვაცია - ადგილობრივ განვითარების ჯგუფებს აქვთ მოქნილობა დანერგონ ახალი იდეები და მეთოდები;
5. ინტეგრირება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და გარემოსდაცვით აქტივობებს შორის, რაც განსხვავდება სექტორული მიდგომისაგან;
6. კავშირების შექმნა, რაც საშუალებას იძლევა ადამიანებმა, ორგანიზაციებმა და ინსტიტუციებმა მიიღონ ცოდნა, როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ, სახელმწიფო და ევროპულ დონეზე;
7. კოოპერაცია LEADER ჯგუფებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ეს შვიდი მახასიათებელი გამოარჩევს LEADER მეთოდოლოგიას სხვა მიდგომებისაგან. მულტისექტორული LDS - ის თანმონაწილეობითი გზით შემუშავება და განხორციელება კი ამ მეთოდოლოგიის ფუნდმენტური ელემენტია.

ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა (LAG), როგორც ადგილობრივი თემების წარმომადგენლების ხელმძღვანელობით შემდგარმა ორგანიზაციამ, მუნიციპალიტეტის მომავალი განვითარების მიზნით, თემების დონეზე გამოავლინა ადგილობრივი გამოწვევები, ხედვები და იდეები და ისინი წარმოადგინა ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტში (LDS). ეს დოკუმენტი ეფუძნება მართვის ქვემოდან-ზემოთ მიმართულ მიდგომას, რომელიც ასევე მოიცავს სხვადასხვა რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ სტრატეგიულ კონცეპტებს, როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური მიმართულებით. LDS ხაზს უსვამს პროცესში მისაღწევ შემდეგ ძირითად ამოცანებს:

1. ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც გამოიყენება მთავარი გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიკაციისათვის, SWOT ანალიზის, ამოცანებისა და სტრატეგიული მოქმედების დიზაინის შედგენის დროს;
2. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფას (ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე), LDS-სადმი მათ თანასაკუთრებას და ანგარიშვალდებულებას, თანამონაწილეობის წახალისებას და განხორციელების ხელშეწყობას;
3. ახალქალაქის LAG-ისა და ევროკავშირის ENPARD პროგრამის როლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და მხარდაჭერას და შემდგომი ჩართულობის ოპტიმიზაციას;
4. დაგეგმვის პროცესში თემთა ჩართულობას, რაც თავისთავად არის შესაძლებლობების განვითარების, სოციალური კაპიტალისა და უნარების გაძლიერების საშუალება;
5. ადგილობრივ და სექტორულ დონეზე ინტერაქციის ხელშეწყობას ანალიზის ხარისხისა და პრობლემის მოგვარების გაუმჯობესების მიზნით, მრავალრიცხოვანი ხმებისა და შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირების გზით;
6. მიზნებისა დაქმედებების პრიორიტეტებად დალაგებას ინტენსიური და გამჭვირვალე კონსულტაციების მეშვეობით.

LDS-ი შემუშავებულ იქნა ევროკავშირის რეგულაციის თანახმად [Common Provisions Regulation (EC) 1303/2013], ინტეგრირებული და მულტი-სექტორული განვითარების სტრატეგიების[1] გზით და სოფლის განვითარების ევროპის ქსელის მიერ მიწოდებული დიზაინისა და დანერგვის სახელმძღვანელო პრინციპებით (2016 წლის მაისი)[2].

თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

[1] http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=uriserv%3AOJ.L_.2013.347.01.0320.01.ENG

[2] https://enrd.ec.europa.eu/sites/enrd/files/enrd-guidance_lds.pdf

1. *ახალქალაქის LDS-ისგანვითარებისათვის თემთა პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლის საბაზისო კვლევის*ჩატარებას (დანართი 1). კვლევაჩატარდა 2017 წლისივლისში. ფოკუსჯგუფების ინტერვიუებით გამოიკითხა 209 ადგილობრივი მოქალაქე. საბაზისო კვლევა მოიცავდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 22 ტერიტორიული ერთეულის ადგილობრივი მოსახლეობის ყველა ჯგუფს.

2. ინტერვიუებისა და კონსულტაციების ჩატარებას ადგილობრივ ბიზნესთან (10 რესპონდენტი), ადგილობრივ თვითმმართველობასთან (7 რესპონდენტი), სხვადასხვა მომსახურებისა და პროგრამის მიმწოდებლებთან (10 რესპონდენტი) და სამოქალაქო საზოგადოების სექტორის წარმომადგენლებთან (5 რესპონდენტი).

3. სამაგიდო კვლევის ჩატარებას მეორად წყაროებზე დაყრდნობით. რეგიონული და მუნიციპალიტეტის კვლევა შეეხო პოლიტიკის დოკუმენტების, განვითარების სტრატეგიების, კვლევითი მასალების, არსებული და განხორციელებული პროექტების/პროგრამების, სტატისტიკური მონაცემების და სხვა საკითხების გაცნობას. LDS-ის პრიორიტეტებისა და მიზნების რეგიონის და ეროვნულ სტრატეგიებსა და პოლიტიკასთან თანხვედრაში მოსაქცევად, LDS-ის შემუშავების დროს ანალიზისთვის ძირითადი ინფორმაციის წყაროებად გამოყენებული იქნა შემდეგი დოკუმენტები:

- *სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020*
- *ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2014-2025*
- *სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020*
- *ქვეყნის ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და საქართველოს სამოქმედო გეგმა 2014-2020*
- *სამცხე-ჯავაზეთის რეგიონული განვითარების სტრატეგია 2014-2021*
- *ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები, შემუშავებული რეგიონის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ*

4. 14 პრიორიტეტულ თემაზე თემატური კვლევის ჩატარებასა და 4 სტრატეგიული მიმართულების შემუშავებას LAG-ისწევრებისმიერ (ოქტომბერი, 2017) დანართი 2.

5. SWOT ანალიზს 4 სტრატეგიული მიმართულებით (3-4 ნოემბერი, 2017).

6. სტრატეგიული ინტერვენციის სემინარის ჩატარებას 4 სტრატეგიული მიმართულებით, რომელმაც მოგვაწოდა LDS მიზნების, ამოცანების, შედეგებისა და ინდიკატორების შედეგები (5 ნოემბერი, 2017).

7. LAG-ის სასწავლო ტურს ირლანდიაში (18-25 ნოემბერი, 2017).

8. LDS-ის კონცეპტუალიზაციას (იანვარი, 2018);

9. LDS-ისწევრების მიერ LAG-ის წევრების დამტკიცებას (15 თებერვალი, 2018).

2. ადგილობრივი განვითარების ჯგუფი – LAG

ახალქალაქის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი - LAG არის სამოქალაქო პლატფორმა, რომელიც შედგება კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებისაგან. LAG -ის წევრობა ნებაყოფლობითია და ეფუძნება ადგილობრივი მოსახლეობის

ენთუზიაზმს, რომ წვლილი შეიტანონ მათი მუნიციპალიტეტის განვითარებაში. LAG - ის წევრები მოქმედებენ LEADER მეთოდოლოგიის პრინციპების შესაბამისად.
ახალქალაქის LAG - ის მიზნებია:

1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის საშუალებით;
2. LEADER მეთოდოლოგიის, როგორც ქვემოდან-ზემოთ მიდგომის დანერგვა და მისი ეფექტური გამოყენება ადგილობრივი სასოფლო განვითარებისათვის;
3. ახალქალაქის მუნიციპალიტეტში არსებული შესაძლებლობების და სირთულეების იდენტიფიცირება და ფასილიტატორის როლის შესრულება ამ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისა და სირთულეების ეფექტურად დაძლევის საკითხებში;
4. ახალქალაქის მუნიციპალიტეტში არსებული მოწყვლადი ჯგუფების (ახალგაზრდები; ქალები; და სხვ) განვითარების ხელშეწყობა;

LAG ასრულებს შემდეგ ამოცანებსა და მოვალეობებს:

ა) განსაზღვრავს სოფლის განვითარების პრიორიტეტებს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და გამოწვევების ანალიზის საფუძველზე. ადგილობრივი თემის მოსახლეობასთან კონსულტაციის შედეგად გამოავლენს ადგილობრივ საჭიროებებს და არსებულ ინფორმაციას, ეროვნულ სტრატეგიათან ერთად, იყენებსთემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) შესაქმნელად;
ბ) ახალქალაქის თემთა მოსახლეობას აწვდის სრულ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შესახებ, ფართოდ ავრცელებს ინფორმაციას საზოგადოებაში საგრანტო განაცხადების წარდგენის ყველა პროცედურის შესახებ და განმარტავს ამ პროცედურებს;
გ) ქმნის ქვე-პროექტების განხილვის, შეფასებისა და შერჩევის გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულ პროცედურებს;
დ) იღებს და აფასებს ქვე-პროექტებს LDS-ის პრიორიტეტებისა და კრიტერიუმების შესაბამისად;
ე) ირჩევს ძლიერ ქვე-პროექტებს, განსაზღვრავს დაფინანსების ოდენობას და დასაფინანსებლად წარუდგენს LAG - ის ხელმძღვანელობას;
ვ) ახორციელებს LDS-ს, მონიტორინგს უწევს ქვეპროექტებს და აფასებს მათ ეფექტურობასა და სარგებელს მუნიციპალიტეტისთვის.

LAG-ის წევრობა, შემადგენლობა (ორგანიზაციული სტრუქტურა), შერჩევის პროცესი, როტაციის პოლიტიკა და სხვა ინსტიტუციური საკითხები რეგულირდება LAG-ის წესდებით (დანართი 3). წესდების თანახმად, LAG-ის მართვას ახორციელებს მისი თავმჯდომარე, რომელიც აკონტროლებს LAG-ის საქმიანობას. მას დახმარებას უწევს ორი ვიცე-თავმჯდომარე. თავმჯდომარესა და ვიცე-თავმჯდომარეებს ირჩევენ LAG-ის წევრები. თავმჯდომარე არის კერძო ან სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი, ერთი ვიცე-თავმჯდომარე - კერძო ან სამოქალაქო სექტორიდან, მეორე ვიცე-თავმჯდომარე - საჯარო სექტორიდან. თავმჯდომარე წარმოადგენს LAG-ს მესამე პირებთან ურთიერთობაში, და მისი არყოფნის დროს მის ფუნქციებს ასრულებს ვიცე-თავმჯდომარე კერძო ან სამოქალაქო სექტორიდან.

ახალქალაქის LAG - ი შედგება 30 წევრისაგან. LAG -ში შექმნილია სამუშაო ჯგუფი (WG) 7 წევრის შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფის მიზანია ყოველდღიურად შეასრულოს შემდეგი სახის აქტივობები: კომუნიკაცია ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან; GALAG -თან მუშაობა; პრიორიტეტების იერარქიულად დაჯგუფება მიმდინარე გამოწვევების (მაგ. პანდემია, ეკონომიკური კრიზისი; სხვ.) და შესაძლებლობების ფონზე, შესაბმისად რელევანტური ფონდების მოძიება; განცხადების შემუშავება და წარდგენა დონორი ორგანიზაციებისათვის; მჭიდრო თანამშრომლობის შენარჩუნება საქართველოში არსებულ სხვა LAG - ებთან და ახალი ურთიერთობის დამყარება ევროპულ LAG-ებთან და ორგანიზაციებთან. LAG -ის სამუშაო ჯგუფი ყოველთვიურად აწვდის ინფორმაციას LAG -ის მთლიან შემადგენლობას და იღებს მათგან უკუგებას. LAG -ის სამუშაო ჯგუფში შეიძლება მოხდეს როტაცია არსებული კონტექსტის გათვალისწინებით.

ახალქალაქის LAG -ის მიერ LEADER - ის მსგავსი პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სადაც გათვალისწინებულია ქვე-პროექტების დაფინანსება, LAG-ის შემადგენლობაში იქმნება პროექტების შეფასების კომიტეტი (PAC), რომელიც პასუხისმგებელია პროექტების შეფასებასა და რეკომენდაციებზე და შედეგებს აწვდის LAG-ის დანარჩენ წევრებს პროექტის განაცხადების შემდგომი დაფინანსების მიზნით. PAC-ის წევრები აირჩევიან LAG-ის წევრებს შორის. PAC-ის შემადგენლობა და კომპეტენცია რეგულირდება LAG-ის წესდებით (დანართი 3). PAC-ი არ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას პროექტის დამტკიცების, უარყოფისა და დაფინანსების შესახებ. თითოეული წარმოდგენილი პროექტისთვის PAC-ი უზრუნველყოფს პროექტების შეფასებებს და წარმოადგენს რეკომენდაციებს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენს LAG-ის წევრები ხმათა უმრავლესობით. პროექტის საჭიროებიდან გამომდინარე, პროექტის შეფასების პროცესში LAG-მა შეიძლება მოიწვიოს გარე ექსპერტებიც. LEADER გრანტები: საგრანტო კონკურსის გამოცხადება, ქვეპროექტების შერჩევა (პროექტის შეფასება და დამტკიცება) ან უარყოფა, დაფინანსება, მონიტორინგი და შეფასების პროცედურები რეგულირდება საგრანტო სახელმძღვანელოს შესაბამისად (დანართი 4).

LAG-ის თითოეული წევრი ხელს აწერს ინტერესთა კონფლიქტის დეკლარაციას (დანართი 5), რომელიც უზრუნველყოფს, ქვე-პროექტის შეფასების, შერჩევისა და საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დაცვას LAG-ის თითოეული წევრის პირადი ინტერესის ზეგავლენისგან, მათი ფუნქციებისა და მოვალეობების გათვალისწინებით.

ახალქალაქის LAG - ის შემადგენლობა დაბალანსებულია LEADER - პრინციპის შეასბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ LAG - ში კერძო და სამოქალაქო სექტორი წარმომადგენლების ჯამური რაოდენობა აღემატება საჯარო სექტორის წარმომადგენლების რაოდენობას. ახალქალაქის LAG - ის წევრების მაქსიმალური რაოდენობა დადგენილია LAG - ის მიერ და არის 30, თუმცა ეს რიცხვი შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს LAG -ის წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებით. ნებისმიერ მოქალაქეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტიდან შეუძლია მიმართოს LAG -ს გაწევრიანების შესახებ და მისი კანდიდატურა დაფიქსირდება სარეზერვო სიაში. შემდგომში ეს კანდიდატი (და/ან კანდიდატები რიგითობის მიხედვით) ჩაანაცვლებს ახალქალაქის ლაგის იმ პასიურ წევრს, რომლიც არაობიქტური მიზეზით გამოტოვებეს LAG - ის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს (მათ შორის ონლაინ შეხვედრებს) და

გადააჭარბებს LAG -ის მიერ დადგენილ გაცდენების ლიმიტს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ახალქალაქის LAG - ის წევრები ფიქრობენ, რომ ამა თუ იმ კანდიდატს შეუძლია შესაბამისი, საჭირო ექსპერტიზა და გამოცდილება შემოიტანოს LAG -ში, მაშინ LAG - ი იმსჯელებს აღნიშნულის შესახებ და ხმათა უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული კანდიდატის LAG - ში დაუყოვნებლივ გაწევრიანების შესახებ და შესაბამისად გაიზრდება LAG - ის წევრების მაქსიმალური რაოდენობა.

ახალქალაქის LAG - ის შემადგენლობა დაბალანსებულია გენდერული და ასაკობრივი თვალსაზრისითაც. LAG - ი აგრეთვე ღიაა ადგილობრივი სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ.

ახალქალაქის LAG - ის შეხვედრებისთვის დაწესებულია ქვორუმი. მინიმუმ 16 წევრი უნდა ესწრებოდეს LAG -ის შეხვედრას იმისათვის, რომ მიღებული იყოს რაიმე სახის გადაწყვეტილება.

ქვემოთ მოცემული სქემა გამოსახავს ახალქალაქის LAG -ის ორგანიზაციულ სტრუქტურას:



3. LDS-ის არეალი - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის პროფილი

3.1 რეგიონის აღწერა

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთში. მასში შედის სამი ისტორიული პროვინცია - სამცხე, ჯავახეთი და თორი. რეგიონი ესაზღვრება საქართველოს შემდეგ ხუთ რეგიონს: აჭარას, გურიას, იმერეთს, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლს. რეგიონის ტერიტორიაა 6,421 კმ 2.

რეგიონს აქვს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა. მას ესაზღვრება თურქეთი და სომხეთი, რაც ამ მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების პერსპექტიულ პირობებს ქმნის. სწორედ ამ რეგიონს გაივლის[3] ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ტრანსკასპიური გაზსადენი და მარაბდა-ახალქალაქი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი.

რეგიონში ექვსი მუნიციპალიტეტია - ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ბორჯომი, ნინოწმინდა და ახალქალაქი. რეგიონული ცენტრია ახალციხე, სადაც მდებარეობს გუბერნატორის ადმინისტრაცია. რეგიონში 353 დასახლებაა, მათშორის ხუთი ქალაქი: ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ვალე, ნინოწმინდა, ბაკურიანი, ბაკურიანის ანდეზიტი, წაღვერი, ახალდაბა, ადიგენი, აბასთუმანი, ასპინძა და 254 სოფელი.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ჯავახეთის ვულკანურ პლატოზე, ზღვის დონიდან 1500-3300მ სიმაღლეზე. ის ესაზღვრება ოთხ მუნიციპალიტეტს: ასპინძას-დასავლეთით, ნინოწმინდას-აღმოსავლეთით, ბორჯომს-ჩრდილო-დასავლეთით და წალკას - ცენტრალურ აღმოსავლეთ ნაწილში. მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილს საზღვარი აქვს თურქეთთან. ახალქალაქი-კარწახის სასაზღვრო გამშვები პუნქტი 30 კმ-ით არის დაშორებული ქალაქის ცენტრიდან. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შეადგენს 1,234.8 კვ.მ. ეს არის ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 1.8%, ხოლო საქართველოს სამხრეთის 23.5%. ახალქალაქის რეგიონის დიდი ნაწილი მთაგორიანია.

[3] *სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგია 2014-2021*

მისი ზედაპირი შედარებით ერთგვაროვანია (ზღვის დონიდან 1600 მეტრი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ხოლო 2100 მეტრი-სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში).

თბილისიდან ახალქალაქისკენ უმოკლესი გზა გადის სამხრეთ-დასავლეთიდან კოჯორისა და წალკის გავლით (182 კმ), რაც თბილისიდან მუნიციპალიტეტის ცენტრში 2.5-3 საათში ჩასვლის საშუალებას იძლევა, მაგრამ გზის პირობებისა და ზამთრის კლიმატური ფაქტორების გამო ეს გზა ნაკლებად გამოიყენება. თბილისიდან ახალქალაქამდე არსებობს სხვა მარშრუტიც, ბორჯომის, ახალციხისა და ასპინძის გავლით (მანძილი - 271კმ, მგზავრობის დრო ხუთიდან-ექვს საათამდე). სომხეთის საზღვრო გამშვებ პუნქტთან დაკავშირება შესაძლებელია ნინოწმინდას მუნიციპალიტეტიდან, სოფელ ჟდანოვკადან, რომელიც ახალქალაქიდან 42 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. ამას გარდა, ეს გზა გამოიყენება რუსეთის ფედერაციაში ტრანზიტისთვის.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი მოიცავს 22 ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულს და ქალაქ ახალქალაქს - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს, რომელიც დააარსა ქართველმა მეფემ ბაგრატ III-ემ (X-XI სს).

3.2 სოციო-ეკონომიკური პროფილი

3.2.1 დემოგრაფია

2014 წლის საქსტატის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში ცხოვრობდა 45 070 ადამიანი, კერძოდ, ქ. ახალქალაქში - 8 295 (18.4%), სოფლად-36 775 (81.6%)[4]. მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური სომეხია (93,8%), 5,7%-ს შეადგენენ ეთნიკური ქართველები, ხოლო 0.5%-ს -სხვა ეთნიკური ჯგუფები-რუსები, ბერძნები და ა.შ. მოსახლეობის უმრავლესობა-ეთნიკური სომხები, მიეკუთვნება გრიგორიანულ ქრისტიანულ სარწმუნოებას, დარჩენილი ნაწილი კი-მართლმადიდებლურე კლესიას. 2002 წელს მოსახლეობის სიმჭიდროვე იყო 49.4 ადამიანი/კმ2, რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია, თუმცა, ახალი მონაცემებით, მოსახლეობის სიმჭიდროვე შემცირდა (36.5 ადამიანი/კმ2-ზე).



[4] http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=2153&lang=eng

სეზონური მიგრაციის გამო, მოსახლეობის რაოდენობა იცვლება და მერყეობს. შრომისუნარიანი მოსახლეობის და ახლოებით 20% გაზაფხულზე მუნიციპალიტეტს ტოვებს და შინ გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში ბრუნდება. მუნიციპალიტეტის შრომითი მიგრანტების ზუსტი ციფრები არ არის ხელმისაწვდომი. მიგრაციის ინტენსივობა განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორიცა დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, სოფლის მეურნეობის ცუდი ინტენსიფიკაცია და განუვითარებელი ინფრასტრუქტურა. თემის წევრების შეფასებით, მიგრანტთა 80% მუშაა. მიგრანტების უმრავლესობას (ახალგაზრდები-საშუალო ასაკის მოსახლეობის ჩათვლით) საშუალო განათლება აქვს. ახალგაზრდებისთვის არა რსებობს სხვა პროფესიული შესაძლებლობები, გარდა სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებისა. უფროსი ასაკის ადამიანები საყვედურობენ ახალგაზრდების გათიშულობას თემის სოციო-ეკონომიკური საქმიანობისგან, მათ მიდრეკილებას აზარტული თამაშებისკენ, მათ მიერ დროის კარგვას ონლაინ გართობაზე და უსაქმურობაზე.

გარდა იმისა, რომ მუნიციპალიტეტში მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა სეზონური მიგრაციის შედეგად მერყეობს, არსებობს მოსახლეობის რაოდენობის შემცირების კიდევ ერთი საფრთხე. 2012 წელს საქსტატის მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემებით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენდა 64 900 ადამიანს[5], ხოლო 2014 წელს ესმაჩვენებელი 45 070 ადამიანამდე დავიდა, რაც მოსახლეობის 30%-ით შემცირებას ნიშნავს. *ახალქალაქის LDS განვითარებისათვის თემთა პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლის საბაზისო კვლევის* მიხედვით (დანართი 1), თემებში აცხადებენ, რომ წინა წლებთან შედარებით, ოჯახების რაოდენობა ნაკლებია. მათი შეფასებით, სახლების დაახლოებით 20% მიტოვებულია და მოსახლეობის რაოდენობამ 40% -ით დაიკლო. ეს, შესაძლოა, გამოწვეულია იმით, რომ საზღვარგარეთ, სამუშაოდ წასული ემიგრანტები (ძირითადად, რუსეთში, შედარებით ნაკლებად-სომხეთში) იღებენ რეზიდენტობას ან მოქალაქეობას და აღარ ბრუნდებიან საქართველოში. 2017 წელს FAO-ს მიერ ჩატარებული *სოფლის მეურნეობის საინვესტიციო შესაძლებლობებისა და შესაბამისი ექსტენციის საჭიროებების შეფასების* მიხედვით, სოფლად ოჯახის წევრების საშუალო რაოდენობა 4.7 ადამიანს შეადგენდა (2.4 კაცდა 2.3 ქალი). აღმოჩნდა, რომ სასოფლო-სამეურნე ოწარმოებაში ჩართული ოჯახების წევრთა მხოლოდ 64% არის სამუშაო ასაკის (საშუალოდ, ოჯახში-3 ადამიანი, აქედან - 1.6 კაცი, 1.4 -ქალი).

3.2.2 ქალაქი და სოფლები

მუნიციპალიტეტი მოიცავს 22 ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულს: აზავრეთს, ალასტანს, არაგვას, ბარალეთს, ვაჩიანს, გოგაშენს, კუმურდოს, დილისკას, ზაკვს, ქარცახს, კარტიკამს, კოთელიას, კოჭიოს, ოკამს, პტენას, სულდას, თურცხს, ხავეთს, ხანდოს, ხოსპიოს, ჩუნჩხას, რომლებიც ერთიანდება 15 თემად და 6 დიდ სოფლად. ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს ქ. ახალქალაქი. ურბანიზაციის დაბალი დონისა

[5] http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=473&lang=eng

და დასახლებული პუნქტებისთვის გათვალისწინებული არასაკმარისი ფართობის გამო, მუნიციპალიტეტის სოფლები პატარაა, კომპაქტური და განფენილი. საქსტატში მოძიებული მონაცემებით, სოფლების ერთმესამედს 200-ზემეტი და 500-ზე ნაკლები მცხოვრები ჰყავს, სოფლების ერთმესამედს-500-დან 1000 ადამიანი. მხოლოდ ერთი სოფლის მოსახლეობაა მაქსიმალური, 2001-დან 3000-ადამიანის ფარგლებში. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის რაოდენობის დეტალები ეთნიკური და გენდერული განაწილების მიხედვით (2014 წლის მონაცემები) იხილეთ დანართ 6-ში.

მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობა (დაახლოებით 94%) 1830 წელს შეიქმნა, ერზურუმის (თურქეთი) სოფლებიდან სომხების ემიგრაციის შედეგად. ეთნიკური ქართველები უმრავლესობას წარმოადგენენ 8 სოფელში: ჩუნჩხა, პტენა, ხოსპიო, კოთელია, ოკამი, აზმანა, აპნია და გოგაშენი. ეთნიკური ქართველები წარმოადგენენ მოსახლეობის ნახევარს ბარალეთსა და მურჯახეთში.

3.2.3 ჯანდაცვა

მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია შემდეგი ჯანდაცვის ობიექტები: ცენტრალური სამედიცინო საავადმყოფო - ევექსი; დიაგნოსტიკური/ამბულატორიული კლინიკა - HEMA; სოფლებში - 45 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი (ფუნქციობს მხოლოდ 6); 25 სტომატოლოგიური კლინიკა და 2 გადაუდებელი დახმარების ეკიპაჟი. ხშირ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტში დაავადების პრევალენტობა აღემატება ეროვნულ საშუალო მაჩვენებელს, ონკოლოგიური, ნეფროლოგიური, გულ-სისხლძარღვთა და ენდოკრინოლოგიური დაავადებების შედარებით მაღალი გამოვლინებით. მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამები და ვაქცინაცია, მაგრამ პაციენტები იშვიათად მიმართავენ ადგილობრივ კლინიკებს, გარდა კლინიკური ნიშნების გამოვლინების შემთხვევებისა. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჯანდაცვის ობიექტებში პაციენტთა მიმართვის რიცხვი გაცილებით ნაკლებია საშუალო ეროვნულ მაჩვენებელზე. ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრის ინფორმაციით, თემებში სამედიცინო კლინიკები ოპტიმალურად არ ფუნქციონირებს, ადგილობრივი კლინიკების ინფრასტრუქტურას აქვს ავეჯისა და აღჭურვილობის დეფიციტი, ხოლო უკვე არსებული-რეაბილიტაციასა და განახლებას საჭიროებს. მუნიციპალიტეტში ექიმებისა და ექთნების ნაკლებობაა - 1000 ადამიანზე მოდის 2.1 სამედიცინო პერსონალი (ქვეყნის საშუალო მაჩვენებელია 3.6 პერსონალი ერთ სულზე). ხშირ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტში შეიმჩნევა მაღალკვალიფიციური/პროფესიონალი ექიმების ნაკლებობა.

3.2.4 დასაქმება და შემოსავალი

2017 წლის აგვისტოს მდგომარეობით, მუნიციპალიტეტში ცხოვრობს სამუშაო ასაკის 34,100 ადამიანი, ხოლო საპენსიო ასაკის-7256[6]. მუნიციპალიტეტებში ოჯახების

შემოსავალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებულ სოციალურ დახმარებაზე/სარგებელზე *(სურსათის უვნებლობისა და კვების გამოწვევები საქართველოს მაღალმთიანეთში, თბილისი, 2016, ოქსფამი)*[7]. მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიას აქვს მთიანი რეგიონის სტატუსი[8], რომელიც იძლევა გარკვეულ საგადასახადო შეღავათებსა და სხვა სოციალურ სარგებელს. საშუალოდ, აქტიური შემოსავლის შემომტანი ოჯახებში სამუშაო ასაკის მქონე ადამიანების მხოლოდ 27%-ია, რომელთაგან 39% მამაკაცია და 12% - ქალი[9]. ეს ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ სოფლის მეურნეობის წარმოებაში ჩართულ ოჯახებს (პენსიების, შემწეობებისა და სხვა შემოსავლების გარდა).

შრომითი მიგრანტების თითქმის 90%-ს ჰყავს ახალქალაქში მცხოვრები ოჯახის წევრები და ნათესავები, რომლებიც იღებენ მათგან ფულად გზავნილებს. გზავნილები ამჟამად რაიონის შემოსავლის მეორე უმსხვილესი წყაროა. ახალქალაქში მცხოვრები ოჯახების დაახლოებით 23.9% იღებს ემიგრანტების ან საზღვარგარეთ მომუშავე სეზონური მიგრანტების ფინანსურ მხარდაჭერას. პენსიები მუნიციპალიტეტის მესამე ყველაზე მნიშვნელოვან შემოსავალს წარმოადგენს, სადაც ცხოვრობს მცირე პენსიის მიმღები ოჯახების 33.6%. მთავრობის მიერ დასაქმებულთა შემოსავლები შეადგენს მუნიციპალიტეტის ოჯახების 17.8%-ის შემოსავალს. დარჩენილი შემოსავლების ნაწილი მცირე სასოფლო სამეურნეო საქმიანობიდან და კერძო სექტორში დასაქმებიდან მომდინარეობს.

სამცხე-ჯავახეთში უმუშევრობის დონე 2016 წელს გურიასა და მცხეთა-მთიანეთთან ერთად 4.1%-ს[10] შეადგენდა, რაც გაცილებით დაბალია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე (11.8%)[11]. ამის მიზეზია ის, რომ რეგიონის მოსახლეობის დიდი რაოდენობა დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში და ქართული კანონმდებლობით "თვითდასაქმებულად"ითვლება.

FAO-ს[12] მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით აღმოჩნდა, რომ სოფლის მეურნეობაში ჩართული ოჯახების 53%-ის ყოველთვიური შემოსავალი ყველა წყაროდან 100-დან 500 ლარს შეადგენს, რაც ნაკლებია ქვეყანაში სოფლად ოჯახის საშუალო შემოსავალზე (669.9 ლარი თვეში[13]) (საქსტატი 2016). ოჯახების მხოლოდ 6%-ის შემოსავალი აღემაატება ქვეყნის სოფლად მცხოვრებთა საშუალო შემოსავალს. ეს მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ სქემაზე.



ამავე

[6] http://ssa.gov.ge/ind
[7] http://foodsecuritysc.
[8] *საქართველოს რეგ*
[9] *სასოფლო სამეურ*
საქართველოში FA
[10] http://geostat.ge/re
[11] http://geostat.ge/in
[12] *სასოფლო სამეურ*
საქართველოში FAO, თბილისი, 2017
[13] http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=182&lang=eng

აჭიროება

აჭიროება

კვლევის მიხედვით, ოჯახების შემოსავლების წილის მხრივ (%-ში), რესპონდენტების 32%-არ იღებს შემოსავალს მეცხოველეობიდან. მათი მთლიანი შემოსავლის 60%-ს ქმნის სასოფლო სამეურნეო მოსავალი -ოჯახების 13%-სთვის, მეცხოველეობა-ოჯახების 11%-სთვის; შემოსავლის 40-დან 60%-მდე მომდინარეობს სასოფლო სამეურნეო მოსავალიდან ოჯახების 30%-ისს და მეცხოველეობიდან-ოჯახების 9%-ის შემთხვევაში; შემოსავლის 20%-დან 40%-მდე მომდინარეობს სასოფლო სამეურნეო მოსავალიდან 41%-სთვის და მეცხოველეობის საქმიანობიდან - 26%-სთვის; შემოსავლის 0-დან 20%-მდე მომდინარეობს სასოფლო სამეურნეო მოსავლიდან ოჯახების 16%-სა და მეცხოველეობის საქმიანობიდან - ოჯახების 22%-სთვის. ციფრები მოცემულია ქვემოთმოყვანილ ცხრილში.



	0%	0-20%	20-40%	40-60%	60%-ზე მეტი
სასოფლო სამეურნეო მოსავალი		16	41	30	13
მეცხოველეობა	32	22	26	9	11

3.3 ადგილობრივი მთავრობა და თვითმმართველობა

ადგილობრივ ხელისუფლებას ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ხელმძღვანელობს მერი[14] , რომელსაც პირდაპირი წესით ირჩევს ადგილობრივი მოსახლეობა. ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტის მოსახლეობა პირდაპირი და პროპორციული წესით ირჩევს წევრებს საკრებულოში-მუნიციპალიტეტის ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოში. საკრებულოს წევრები ამტკიცებენ აღმასრულებელი ორგანოს - მერიის აპარატის სტრუქტურას.

მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში/თემშიმერი ნიშნავს ადგილობრივ წარმომადგენელს (რწუნებულს).

თემთა პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლის საბაზისო კვლევამ, რომელიც განხორციელდა ახალქალაქის LDS-ისშემუშავების მიზნით (დანართი 1), ნათლად აჩვენა, რომ არსებობსკერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობისა და ზოგადად. ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გაუმჯობესების დიდი პოტენციალი, რაც ეფექტურად გადაწყვეტს სოფლის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს მუნიციპალიტეტში.

3.4 ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ძირითადი სერვისები და პროგრამები

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა სახის სერვისი და პროგრამა, რომლებსაც მხარს უჭერს მუნიციპალური სამსახურები, ეროვნული პროგრამები და სერვისები, დონორის მიერ დაფინანსებული პროგრამები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

მუნიციპალური მომსახურება მოიცავს: სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებას, სოფლის მეურნეობის საკითხების მონიტორინგსა და

[14] *ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია*

ანგარიშს კანალიზაციისა და ნარჩენების მართვასა და ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოციალურ დახმარებაზე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი სერვისებისა და პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ დანართში 9.

3.5 განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა

3.5.1 განათლება და კვალიფიკაცია /უნარების განვითარება

მუნიციპალიტეტის განათლების სისტემაში არსებობს 65 საჯაროსკოლა, მათგან 50-საშუალოდა 15-დაწყებითი. ბოლო ათწლეულის მანძილზე აშენდა 6 ახალი სკოლა და სრულად გარემონტდა 5, მხოლოდ ერთ სკოლას არ გააჩნია საკუთარი შენობა. ახალი და გარემონტებული სკოლები აღჭურვილია ახალი სასკოლო ინვენტარით. რეგიონში ნაწილობრივ აღდგენილია 60 მოქმედი სკოლა. დარჩენილი სკოლები საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 65 სკოლიდან 33% აკმაყოფილებს სასწავლო პირობებს, აქ შედის სპორტული დარბაზები, საკლასო ოთახები, საოფისე ოთახები და ლაბორატორიები. ეს სკოლები აშენდა 1970-1980და 2004-2005 წლებში. 1897-1960 წლებში აგებული სკოლების 67 პროცენტი არ შეესაბამება სწავლების სტანდარტებს. არსებობს სოფლები, რომლებიც დარჩენილია სკოლების გარეშე, თუმცა, სანაცვლოდ, საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყოფილია და რეკონსტრუირებულია ალტერნატიული სათემო კლუბები და შენობები. პრობლემები არსებობს ელექტრო ენერგიის მიწოდების, გათბობის, წყალმომარაგების, საპირფარეშოებისა და სხვა ინფრასტრუქტურულ საკითხებში.
უნდა აღინიშნოს, რომ წლების მანძილზე მკვეთრად შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა, მაგრამ გაიზარდა მასწავლებელთა რაოდენობა (2017 წელს საჯარო სკოლებში დასაქმებული იყო1414 მასწავლებელი, 2016 წელსიყო 7232 მოსწავლე, როცა 2001 წელსიყო 1200 პედაგოგიდა 12360 მოსწავლე). საშუალო სკოლას ამთავრებს საშუალო სკოლის მოსწავლეთა დაახლოებით 80%. სკოლის პედაგოგები საჭიროებენ ტრენინგების ჩატარებას პედაგოგიკაში და კვალიფიკაციის ამაღლებას პროფესიული ზრდის მიზნით. კურსდამთავრებულები ცუდად ფლობენენებს, განსაკუთრებით, ქართულსა და ინგლისურს. აუცილებელია ქართულისა დაინგლისურიენების გაკვეთილების რაოდენობისა და ხარისხის გაუმჯობესება, ცუდად ისწავლება სამეცნიერო, ტექნოლოგიური, ინჟინერიისა და მათემატიკური აკადემიური დისციპლინები, განსაკუთრებით ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა და ა.შ. ეს გამოწვეულია პედაგოგების ნაკლებობით ან მათი დაბალი კვალიფიკაციით. სკოლები ითხოვენ ბიბლიოთეკებსა და საგანმანათლებლო-სასწავლო აღჭურვილობას. განათლების სამინისტრო უზრუნველყოფს სხვადასხვა სოფლიდან მოსწავლეთა სკოლებში ტრანსპორტირებას. თუმცა, ამ მომსახურების ხარისხი და უსაფრთხოების სტანდარტები გაუმჯობესებას საჭიროებს. სომხურ ენაზე წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები არშეესაბამება ქართული ენის ეროვნულ პროგრამას, რაც ქმნის პრობლემებს ეროვნული გამოცდების დროს.

რეგიონში არსებობს უმაღლესი სასწავლებლები - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი ფილიალები ახალქალაქსა და ახალციხეში. უნივერსიტეტს აქვს

შემდეგი ფაკულტეტები: განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი; იურიდიული ფაკულტეტი; საინჟინრო, აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. სხვადასხვა ეროვნების სტუდენტები სწავლობენ ეკონომიკას, ფილოლოგიას, პედაგოგიკასა და უცხოენებს. ადგილობრივ მოსახლეობაში ჩატარებული შეფასების მიხედვით, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა 40%[15] აბარებს უმაღლეს სასწავლებლებში. სტუდენტები სწავლობენ ახალქალაქის, ერევნისა და თბილისის უნივერსიტეტებში. თუმცა, ტენდენციები იცვლება და ქართულენოვან უნივერსიტეტებში ჩაბარების მსურველთა რიცხვი იზრდება. 2017 წელს უმაღლეს სასწავლებლებში განმცხადებელთა რაოდენობა გასამმაგდა, 500-მა მიმართა უნივერსიტეტებს საქართველოში, 100-მა-საზღვარგარეთ.

ფერმერებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ცუდად ესმით აგრობიზნესის მართვა და თანამედროვე სოფლის მეურნეობა. ისინი ცოდნას, ზოგადად, თვითგანათლებითა და პრაქტიკული გამოცდილებით მოიპოვებენ. მიუხედავად საჭიროებისა, ადგილობრივად მიუწვდომელია პროფესიულ-საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამები აგრონომიაში, მეცხოველეობაში, მექანიზაციაში, ბუღალტერიაში, ვეტერინარიაში, შედუღებასა დასადურგლო საქმეში, აგრო-ბიზნესისმართვის, საბუღალტრო, გაყიდვების, მარკეტინგისა და სხვა სფეროებში. ადგილობრივ ფერმერებსა და მწარმოებლებში ძალზე დაბალია ცნობიერება სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების სარგებელთან დაკავშირებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ სჭირდებათ მეტი პრაქტიკული მიდგომა და ტრენინგი, რაც წარმოაჩენს მეთოდებს, სტრუქტურებს, მექანიზმებს, იარაღებს, უპირატესობებსა და თანამშრომლობის აუცილებლობას. ფერმერებს არაქვთ გამოცდილება, უნარები და ცოდნაკოოპერაციასა და მართვის სფეროში, ბუღალტერიაში, გაყიდვებში, ორგანიზებასადა ა.შ.

საერთო ჯამში, სხვადასხვა დარგსა და სექტორში შეიმჩნევა საკმარისი კომპეტენციის ნაკლებობა, მაგრამ ეს ძირითადად განპირობებულია შრომის ბაზრითა და რეგიონისა და მუნიციპალიტეტის ცუდი ეკონომიკური აქტივობით.

3.5.2 სამოქალაქო ჩართულობა, გენდერული თანასწორობა და სოციალური ინკლუზია

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში არსებობს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ბიზნესის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ფუნქციობს ბერძნების სათვისტომო; მედია ორგანიზაციები; ქალთა და ახალგაზრდული ორგანიზაციები; ტურისტული და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ორგანიზაციები და ა.შ. მათიაზრით, მათ არგააჩნიათ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომი პროგრამებისა და დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ. ორგანიზაციებს შორის კოორდინაცია ნაკლებ შედეგიანია. ურთიერთქმედება და თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან არაეფექტურია. მათი

[15] *LDS-ის შემუშავებისთვის მომზადებული თემთა პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლის საბაზისო კვლევა*

შესაძლებლობები და მდგრადობის მექანიზმები სუსტია, რადგან ისინი უდიდეს კონკურენტუნარიან გარემოში არიან წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ამის გამო, მათი უმრავლესობა ფინანსურად ვერ წვდება საოფისე ფართს, ტექნიკას და ვერ ახორციელებს რეგულარულ საქმიანობას. გარდა ამისა, არსებობს გარკვეული პროფესიების, მაგალითად, ბუღალტერიისა და ფინანსების სპეციალისტის დიდი საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის კურსებზე წვდომის რამდენიმე საშუალება არსებობს, მოსახლეობაში მნიშვნელოვანი პრობლემაა ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისითაც, თუმცა სიტუაცია უმჯობესდება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური ინტეგრაციის პრობლემა იკვეთება განათლებასთან კავშირში, რათქმაუნდა, ენის პრობლემა ქმნის კომუნიკაციის ბარიერებს. აქედან გამომდინარე, ეთნიკური უმცირესობების სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის დგას ქართული ენის სწავლების საჭიროება.

საშინაო საქმეებს - სახლის/ეზოს მოვლას, საკვების მომზადებას, რეცხვას და ა.შ. ახორციელებენ ქალები, სახლის გარეთ საქმიანობა მამაკაცის პრეროგატივაა. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური, მძიმე შრომა ძირითადად მამაკაცებს ეკისრება, ასევე დიდ ძალისხმევას საჭიროებს ქალთა სამუშაოები მოსავლის აღებისა და მეცხოველეობაში. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ძირითადად მამაკაცები იღებენ; ქალების საქმე, როგორც წესი, ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღებაა, მაგალითად, საკვები პროდუქტების მომზადება და შვილების მოვლა. გარდა ამისა, ოჯახური ბიუჯეტით ძირითადი საქონლის შეძენას ახორციელებენ ქალები. თუმცა, "ოჯახის უფროსის" სტატუსი მაინც მამაკაცებს ეკუთვნის. საბოლოოდ, ვლინდება გენდერული დისბალანსი ხვადასხვა ღირებულებათა ჯაჭვის პროცესში თუმცა შეიმჩნევა ქალთა როლის ზრდის პოტენციალიც.

3.5.3 სოციალური და კულტურული გარემო (საშუალებები, საქმიანობები და კულტურული მემკვიდრეობა)

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში უძველესი კულტურის (ძვ.წ. II ათასწლეული) არაერთი ძეგლია, რომლებიც მოიცავს შუასაუკუნეების ტაძრებს, დასახლებულ პუნქტებსა და წინაქრისტიანულ ციკლოპურ ნაგებობებს, როგორიცაა აბულის ციხე-სიმაგრე და დასახლებული პუნქტი, სამსარის გუმბათოვანი ეკლესია და სამონასტრო კომპლექსი, კუმურდოს გუმბათოვანი ტაძარი და სხვა, როგორიცაა ქვარშას და კილდას დასახლება და ტაძრები, ტოკის მონასტერი, ვარდის ციხის დასახლება, ბარალეთის ეკლესია, სირგოს ეკლესია, მეღრეკის მონასტრის ნანგრევები და ციკლოპური კარიბჭე, ღრტილას ეკლესია, კოჭიოს, აზავრეთის, ბურნაშეთის, გრიას დასახლებების, სოფლებისა და ციკლოპური ციხესიმაგრის ნანგრევები.

ახალქალაქში არსებობს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ცენტრალური ბიბლიოთეკის სახლი ორსართულიანი შენობაა, რომლის საერთო ფართობითა 4398 მ2, მას აქვს დიდი დარბაზი, 25 ოთახი და 8 საოფისე ოთახი. შენობის ცენტრალური გათბობის რეაბილიტაცია დასრულდა 2017 წელს. მუნიციპალიტეტში აღარ მუშაობს კინო თეატრი.

დამატებით დაფინანსებას საჭიროებს ადგილობრივი მუზეუმი, რომელსაც აფინანსებს მუნიციპალიტეტი. გართობაზე მოთხოვნა იზრდება მოსახლეობის შემოსავლის ზრდასთან ერთად. ხელოვნებისა და სამხატვრო სკოლა არის ერთ სართულიანი შენობა, საერთო ფართობით 384 მ2. მას აქვს 5 საკლასო და ერთი საოფისე ოთახი. მუსიკალური სკოლა არის ერთ სართულიანი შენობა საერთო ფართობით 501მ2. მას აქვს 15 საკლასო და 2 საოფისე ოთახი. ახალქალაქში არის ძველი ცენტრალური სტადიონი და 3 თანამედროვე მინი სტადიონი, სადაც რეგულარულად ტარდება სპორტული თამაშები.
სოფლებში 34 კლუბი და 16 ბიბლიოთეკაა. ჩამოთვლილი კულტურული ობიექტები აშენდა 1970-80 წლებში, რომლებიც დღეს სათანადო მოვლა-პატრონობას მოითხოვს. ბიბლიოთეკების უმრავლესობა ბიბლიოთეკართა სახლებშია განთავსებული, რადგან მათ აღარ აქვს საკუთარი შენობები. ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფის მიერ სოფელ ალასტანის სკოლის შენობაში შეიქმნამუზეუმი. თითქმის ყველა თემში არსებობს საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩატარების ობიექტები, რომლებიც ძირითადად აშენებული ან გარემონტებულია თემის თანხებით ან თანამონაწილეობით და მათი სარგებლობა უფასოა.

3.6 ენერგია და კლიმატური პირობები

3.6.1 გეოგრაფიული და კლიმატური პირობები

მოცემული რეგიონი მდებარეობს მაღალმთიან პლატოზე და გარშემორტყმულია კლდეებით, რომლებიც მნიშვნელოვან კლიმატურ ბარიერებს წარმოდგენს (განსაკუთრებით ერუშეთის მასივი და სამსრის ქედი). რელიეფის ფორმები ხელს უწყობს ჰაერის მასების შეკავებას. შედეგად, ზამთარი მშრალი და უფრო ცივია, ზაფხული - ხანმოკლე და უფრო თბილი, ვიდრე კავკასიაში იმავე სიმაღლეზე მდებარე სხვამაღალმთიან რეგიონებში. ტემპერატურის სეზონური მერყეობის მიუხედავად, დღისა და ღამის ტემპერატურათა სხვაობა შესამჩნევია. ეს ქმნის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებულ კონტინენტურ კლიმატს. მას გარს ეკვრის თრიალეთი, აბულ-სამსარი, ჯავახეთი და ნიალის ყურისა და ზედა მტკვრის ხეობები (უმაღლესი მწვერვალია დიდი აბული - 3304მ). სოფლების უმეტესობა ზღვის დონიდან 1700-2000 მეტრი სიმაღლეზე მდებარეობს. ქვედა დაბლობები ხელს უწყობს ისეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანას, როგორიცაა კარტოფილი და სხვა კულტურები. სიმაღლეზე მდებარე ვაკე ადგილები ალპური მდელოებია და შინაური ცხოველების საძოვრებად გამოიყენება. აქ არ არსებობს ბუნებრივი ტყეები და მაღალი ხეები/მცენარეები. თუმცა, არსებობს ხელოვნური წიწვოვანი ტყის მცირე მონაკვეთები (დაირგო 1950-1960 წლებში).

ჯავახეთში სუსტია ატმოსფერული პროცესების გავლენა რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ძალიან აქტიურია. დასავლეთიდან ან აღმოსავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრა არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებას. ამის გამო ჯავახეთში ნალექების რაოდენობა (საშუალოწლიური 550 მილიმეტრი) მნიშვნელოვნად დაბალია, საქართველოს სხვა ნაწილთან შედარებით. წლიურისაშუალო ტემპერატურა 2.8C^0-ს აღწევს. აღსანიშნავია, რომ ზაფხულში მაღალი გამოსხივების გამო, საშუალო ტემპერატურა ზოგჯერ აღწევს 14C^0-ს, რეგიონის ცენტრალურ და ღია ნაწილებში - 24C^0-ს. მზის

სინათლის ხანგრძლივობა აქ უფრო მაღალია და ტერიტორიის ძირითად ნაწილში 2500 საათს აღემატება. ზამთარში აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა - 41C^0-მდე მცირდება (განსაკუთრებით სამხრეთ ნაწილში), რაც საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. წელიწადში ყინვის გარეშე დღეების საშუალო რაოდენობა 100-130-ია. ზოგადად, მუნიციპალიტეტში დომინირებს სამხრეთ-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ქარები. ზამთარში ჭარბობს სამხრეთ-დასავლეთის ქარები, ზაფხულში - ჩრდილო-დასავლეთის. ზამთარში ქარის საშუალო სიჩქარეა 3-4 მეტრია წამში, რაც ძალიან მაღალია. ზაფხულში ქარის სიჩქარე (2-3 მეტრი წამში) ნექტარის (მეფუტკრეობის) წარმოებისთვის ხელსაყრელი ფაქტორის მაჩვენებელია.

კლიმატური მონაცემების მიხედვით, 160 დღე მოითხოვს გათბობას და 55 დღე - გაგრილებას[16]. ეს მოსალოდნელია კლიმატის ცვლილების გამო. ენერგიის საჭიროებას თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს იმპორტი (97%). საჭიროების მხოლოდ 3%-ს აკმაყოფილებს შეშის მოხმარება. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიისათვის დამახასიათებელია ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა და სეტყვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიჩნეულია სეტყვის მაღალი რისკის ზონად[17]. ბოლო ათი წლის განმავლობაში სტიქიური უბედურებები საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ გარემოს და სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს. ძლიერმა წვიმამ და სეტყვამ დააზიანა სასოფლო-სამეურნეო მიწები და საცხოვრებელი ადგილები: ბოლო 10 წლის განმავლობაში დაზიანდა 10,000 ჰექტარი მიწის ნაკვეთი და 150 ოჯახი. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბუნებრივი კატასტროფებით მიყენებული ზარალის ოდენობა დაახლოებით 5 მილიონი ლარია[18].

3.6.2 განახლებადი ენერგია და კლიმატის ადაპტაცია

2014 წლის 16 მაისს, საქართველოს თანაინვესტირების ფონდმა სს "კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასთრაქჩასგან" (CEI) 100% მფლობელობით შეიძინა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალციხის მუნიციპალიტეტში მდინარე მტკვარზე მდებარე მტკვარი ჰიდროელექტრო სადგურის პროექტი. პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება შეადგენს 131 მლნ აშშ დოლარს. მის იმიზანია 53 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტრო სადგურის აშენება და წელიწადში 251.5 მეგავატი ენერგიის გამომუშავება. მტკვარიჰესის მიერ წარმოებული მთლიანი სიმძლავრე გამოყენებული იქნება ქვეყნის შიგნით[19].
მუნიციპალიტეტში კლიმატის ადაპტაციის საკითხების ცნობიერების დონე ზოგადად არასათანადოა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ დონეზე კლიმატის ცვლილების რისკები მნიშვნელოვნად მიიჩნევა, არ მიმდინარეობს დისკუსია იმ გავლენების და პოტენციური შედეგების შესახებ, რომელიც ზეგავლენას ახდენს ეკონომიკისა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. არ მუშაობს გამართულად შესაბამისი სტრუქტურა,

[16] *Degree Days Net: http://www.degreedays.net*
[17] *http://drm.cenn.org/index.php/en/community-profile*
[18] *http://nala.ge/uploads/axalqalaqi.pdf*
[19] *http://gcfund.ge/energyandinfrastructure/5/*

რომელიც კონკრეტული საკითხების მოსაგვარებლად გაატარებდა პრევენციულ ღონისძიებებს სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად. რეაგირებას, როგორც წესი, მხოლოდ კატასტროფის საპასუხოდ მიმართავენ[20].

3.6.3 ფლორა და ფაუნა

მუნიციპალიტეტი გამოირჩევა სპეციფიური გეოგრაფიული მახასიათებლებით. რეგიონის უმეტესი ნაწილი ტყის გარეშეა. ის დაფარულია მთის და მინდვრის მცენარეებით. მთის მდელოებზე დომინირებს მრავალფეროვანი ბალახოვან - მარცვლოვანი სახეობები. ტბებისა და ჭაობების ირგვლივ უმეტესად გავრცელებულია წყლისა და ჭაობის მცენარეები. სუბალპური და ალპური მდელოები 2200 მეტრს ზემოთ იწყება.

სუბალპურ სარტყელს (2050-2400 მ) ახასიათებს მაღალი ბალახოვანი, ბუჩქოვანი და სუბალპური პოლი-დომინანტური მცენარეები. სუბნივალური მცენარეები კარგად არის წარმოდგენილი ალპურ ზონებში (ზღვისდონიდან 2600-2800 მეტრის სიმაღლეზე).
სამსარის ქედის სუბნივალურ ზონაში 62 სახეობის მცენარეა რეგისტრირებული, მათ შორის 3 ადგილობრივი და 14 - კავკასიური ენდემური სახეობიდან, სხვა სახეობები სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიაში არის გავრცელებული. ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ფლორა და მცენარეები მრავალფეროვანია და წარმოდგენილია სხვადასხვა ჯიშით.
ტერიტორიის ლანდშაფტს ქმნის შემდეგი ტიპის მცენარეები:
• სტეპები (მარცვლოვანი ბალახოვანი სტეპები, ველის წივანა, ვაციწვერა, ურო, ისლი);
•სკრების სტეპი; სუბალპური და ალპური მდელოები;
• ენდემური და კლდოვანი მცენარეების სუბნივალური სარტყელის ფრაგმენტები;
• ჭარბტენიანი მცენარეები ბორეალური ფლორის სახეობებით, რომლებიც ემთხვევა გამყინვარების პერიოდის მეოთხედის წლებს;
• არყისებრი და ფიჭვისებრი სახეობები.
ჯავახეთში სუბალპური ტყეები მდებარეობს ზღვის დონიდან 1800-2100 მ-ზე, კარწახის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ჩილდის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე. აქ გვხვდება ძველი ტყის დარჩენილი ნაწილი არყისა და ვერხვის ხეებით. ვერხვს უფრო დიდი ფართობი უკავია, ვიდრე არყს. ტბების მიმდებარე ტერიტორიებზე ფართოდაა გავრცელებული საზაფხულო საძოვრები, რომლებიც დაფარულია მრავალფეროვანი დომინანტური და სუბდომინანტური მარცვლეული მცენარეებით.

3.7 ბუნებრივი რესურსები

მიწა

განვითარების პოტენციალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მუნიციპალიტეტის ტოპოგრაფიაზე, ბუნებრივი რესურსებისა და დამხმარე მიწათსარგებლობის შესაძლებლობებზე. სოფლის მეურნეობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე და გარემოსდაცვის ხარისხის სხვა

[20]OXFAM, საკვების უსაფრთხოება და კვების გამოწვევები საქართველოს მაღალმთიან ადგილებში *,თბილისი, 2016*

ასპექტზე. სოფლის მეურნეობას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ეფექტიც, რადგან ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობის 77%[21] სოფლის მეურნეობის საქმიანობისთვის გამოიყენება. ესმიუთითებს, იმაზე რომ მიწა შედარებით ინტენსიურად გამოიყენება, რაც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს გარემოს ბუნებრივ აღდგენაზე. მუნიციპალური მიწების დაახლოებით 0.7% საკარმიდამო ნაკვეთებია. იხილეთ დეტალური ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო მიწის განაწილების შესახებ დანართ 7-ში.

არასასოფლო-სამეურნეო მიწები მოიცავს 27,792ჰა-ს, რაც მუნიციპალიტეტის მთლიანი ტერიტორიის 23%-ს შეადგენს. ტყის რესურსი მწირია და მუნიციპალური ტერიტორიის მხოლოდ 5.6% (6900 ჰა) მოიცავს. ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დაცული ტერიტორიების მთელი ტერიტორია შეადგენს 13,474[22] ჰექტარს, რაც წარმოადგენს მთლიანი მუნიციპალიტეტის 10.9%-ს. მთელს ტერიტორიაზე დაწესებულია შეზღუდვა ფერმერული მეურნეობის დაგეგმვისა და განვითარების წინააღმდეგ. ბიომრავალფეროვნების დაცვისა და წახალისების თვალსაზრისით ხორციელდება დასასვენებელი და რეკრეაციული ზონების მოწყობა.

ტყის რესურსები

ტყეებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 6 970 ჰექტარი უჭირავს, საიდანაც 840 ჰა ფოთლოვანი, ხოლო 6 130 ჰა - წიწვოვანი ტყეებია. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მწირი ტყის ფართობით. ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაფარულია მთის და მინდვრის მცენარეებით. მთის ხეობებში უპირატესად ჭარბობს ნაირბალახოვანი-მარცვლოვანი მცენარეები. წყლის მცენარეები ძირითადად ვრცელდება ტბების დაჭაობების გარშემო. სუბალპური და ალპური მდელოები ზღვის დონიდან 2200 მეტრზეა. სუბალპური სარტყელი (2050-2400 მ) ხასიათდება მაღალხარისხოვანი მცენარეებით, ბუჩქებითა და სუბალპური ბალახებით. სუბნივალურ მცენარეთა სახეობებიკარგად არის წარმოდგენილი დიდი აბულის და სამსარის მთაზე, სადაც 62 სახეობის მცენარეა რეგისტრირებული.

ახალქალაქში არ არსებობს სატყეო მეურნეობა. ტყის არსებულ ტერიტორიებს მინიჭებული აქვს კონსერვაციული და რეკრეაციული ტყეების სტატუსი.

წყლის რესურსები

ახალქალაქის მუნიციპალიტეტს აქვს საკმარისი სასმელი და სარწყავი წყლის რესურსი, მაგრამ მთავარი საკითხი რესურსების არა ეფექტური განაწილებაა, რაც სოფლებში წყლის მიწოდების ნაკლებობას იწვევს. ახალქალაქის მუნიციპალიტეტი 18 კმ-ის მოშორებით ესაზღვრება მდ. მტკვარის დასავლეთ სანაპიროს, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან, მდინარე ფარავანს. ის მიედინება მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ნაწილში და სოფელ ხერთვისის (ასპინძისრაიონის) მახლობლად მდ. ფარავანს უერთდება. მდინარე ფარავანის სამხრეთ ნაწილში ჩაედინება მურჯახეთის წყალი. ტბებიდან აღსანიშნავია ზრესკი, ხოზაფინი (იგივე კარწახი). მდინარე ფარავანი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტბაფარავანისგან საზრდოობს. მუნიციპალიტეტის მდინარეებია: ფარავანი, ჩობარეთი და ბარალეთი და ტბები - აბული, ვაჩიანი, ლევანი, პასკია (ზრესკი), ტაბაწყური, ხოზაფინი

[21] *ინფორმაცია მოწოდებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალქალაქის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მიერ*

[22] *ინფორმაცია მოწოდებულია ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ*

(კარწახი) და სულდა. მდინარეები და ტბები გამოიყენება ენერგეტიკისა და სარწყავი მიზნებისათვის, ასევე მესაქონლეობისთვის. რეგიონს აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის სასმელი წყლის მარაგი აბლარის, ბეჟანოს, იხტილას, ოკამის და დილიფის წყაროებიდან, ასევე, დიდი და პატარა ტბებიდან.

ბარალეთის ხეობაში, აგრეთვე ვაჩიანში, ოკამში, სულდაში, კარწახში, აბულსა და ზოგიერთ სხვა სოფლებშიც გვხვდება ჭაობიანი ადგილები. აღსანიშნავია, რომ ტბები და მდინარეები გამოირჩევა თევზის სიმრავლით.

მინერალური რესურსები

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი მდიდარია წიაღისეულის მრავალფეროვნებით. სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია ბაზალტის ქანები. არსებობს საკმარისი რაოდენობის სამშენებლო მასალების საწარმოები: აზავრეთში - კირქვის მადნის (არსებული რესურსი დაახლოებით 554 ათასიმ 3); სოფელ ზაკვში - ვულკანური წიდა; სოფელ სულდასა და ოკამში - პუმისი; ჩობარეთის მასივში - მარმარილო, პერლიტი და ტუფი.

3.8 ადგილობრივი ინფრასტრუქტურა

ენერგო მომარაგება

ახლაქალაქის მუნიციპალიტეტში ელექტროენერგიის მიმწოდებელია "ენერგო-პროჯორჯია". მუნიციპალიტეტში დაახლოებით 16000 მომხმარებელია დარეგისტრირებული. მუნიციპალიტეტში ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემა არა რსებობს. მაღალმთიან რაიონში მცხოვრები მოსახლეობა ელექტროენერგიის მოხმარებაში ღებულობს სუბსიდიას. კერძოდ, ოჯახები 100 კვტ-მდე მოხმარებულ ელექტროენერგიაზე იღებენ 50%-იან სუბსიდირებას.

ბუნებრივი აირი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი კომპანია - "SGGas Company", კომპანიას ჰყავს 10 729 რეგისტრირებული მომხმარებელი. ბუნებრივი აირი მიეწოდება ახალქალაქს დათემების ნაწილს. ქალაქგარეთ ბუნებრივი აირი მიეწოდება 42 სოფელს, რაც მთლიანი სოფლების (64) 66%-ს შეადგენს.

სასმელიწყალი

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ემსახურება 38 სოფელს და ახალქალაქს. 2017 წლისთვის მუნიციპალიტეტის 90% უზრუნველყოფილია წყალმომარაგებით. წყლისმილების 70% საჭიროებს რეაბილიტაციას. წყლის მილსადენის რეაბილიტაცია დაკავშირებულია საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესთან. 2016 წელს 14 ქუჩაზე შეიცვალა მილსადენები. წყალმომარაგების კომუნალური გადასახადი შეადგენს თვეში 0.25 ლარს ოჯახის თითოეულ წევრზე, ხოლო იურიდიული პირებისათვის საფასური მაღალია და შეადგენს 1 მ 3-ზე 4.31 ლარს. წყალმომარაგების სისტემაში შედის 24 ძირითადი წყლის მილი - საერთო სიგრძით 216 კმ. წყლის მილები ძირითადად დამზადებულია ფოლადისაგან, რკინისა და აზბესტისგან. აღნიშნული წყლის წყაროების გარდა, სოფლებში: მოდეგამი, ბურნაშეთში, აზავრეთში, გოკიოში, ალასტანში, ზაკვში, ბალხოში, მერენიაში, დიდ სამსარიში და პატარა სამსარში სასმელი

წყალი მიეწოდება ადგილობრივი წყაროებიდან. ქალაქის წყალმომარაგების სისტემაშედგება 11 კილომეტრიანი წყლის მილსადენის 4 ხაზისგან. მილები ძირითადად რკინისა და ფოლადისაა. სასმელიწყალი არ მიეწოდება რამდენიმე სოფელს (მაგ. სულდასა და დადეშს). ზაფხულის პერიოდში წყალმომარაგება მცირდება, რადგან ფერმერები სასმელწყალს საირიგაციო მიზნებისთვის იყენებენ. სასმელი წყლის რეზერვუარები არ იფილტრება და მოითხოვს სათანადო ფილტრაციის სისტემებს, რამდენადაც, მოსახლეობა ჭუჭყიან და დაბინძურებულ წყალს მოიხმარს.

კანალიზაციის სისტემა და ნარჩენების შეგროვება

ადგილობრივი სანიტარული სამსახური ეკუთვნის ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ბიუჯეტის ნაწილი ივსება ადგილობრივი მომსახურებიდან გაწეული შემოსავლით, მაგრამ ეს თანხა უმნიშვნელოა. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ კომპანიაში აღინიშნება ნაგვის შემკრები სატვირთო მანქანებისა და ნაგვის ბუნკერების ნაკლებობა. გზები უკიდურესად დაზიანებულია, რაც ზრდის სატვირთო მანქანების შენახვის ხარჯებს. ნაგავსაყრელი მდებარეობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მახლობლად; თუმცა ნარჩენები არ ხარისხდება. ამჟამად ფერმერებს აგრო-ქიმიური ნარჩენების უტილიზაცია არ შეუძლიათ და მათ საკუთარ ნაკვეთებშივე ტოვებენ. კომპანიას ქიმიური და სახიფათო ნარჩენებისთვის სპეციალურიტექნიკა არ გააჩნია. გარდა ამისა, აგრო-ქიმიურ ნარჩენებს თავს უყრიან ნაგავსაყრელზეც. სოფლებს არაქვს საკანალიზაციო სისტემა და ნარჩენების შეგროვებისთვის გამოყოფილი განსზღვრული ადგილები, რაც ქმნის სანიტარულ და ეკოლოგიურ პრობლემებს.

გზები

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში საგზაო ქსელის სიგრძე დაახლოებით 410 კილომეტრს შეადგენს. ამაში შედის საერთაშორისო მნიშვნელობის 42 კმ-იანი ახალქალაქი-სომხეთის სასაზღვროგზა და 34 კმ-იანი ახალქალაქი-კარწახის გზა თურქეთის საზღვრამდე. გზები ასფალტირებულია. აღსანიშნავია, რომ ახალქალაქი-ბაკურიანის გზაზე, რომელიც დაახლოებით 30 კმ-ს აღწევს, ამჟამად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. გზების მთავარი არტერია ახალქალაქი-ახალციხისგზა მთლიანად დაფარულია ასფალტით და ბეტონით. ასევე, მთლიანადაა რეაბილიტირებული მარაბდა-წალკა-ახალქალაქის საგზაო მაგისტრალი. ადგილობრივი გზების საერთო სიგრძეა 220 კმ. სოფლებთან დამაკავშირებელი გზების სიგრძე 90 კმ-ს შეადგენს და ძირითადად არაასფალტირებული/არაბეტონიზებულია. არსებული მდგომარეობის მიხედვით, 2017 წელს მოხდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, რომელმაც მოიცვა მუნიციპალიტეტის შემდეგი სოფლები: კუმურდო, კარწახი, ბავრა, დილისკა, კოთელია და ბარალეთი. მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ნაწილში მიმდინარეობს გზების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ადგილობრივი ტრანსპორტი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ავტოსადგურს ემსახურება შპს "ავტოტრანს კულდა", რომელიც ეწევა ქალაქის, მუნიციპალიტეტისა და რესპუბლიკის გარეთ მგზავრების ტრანსპორტირებას. სატრანსპორტო საშუალებების მთლიანი წილი კერძო სექტორს ეკუთვნის. მუნიციპალიტეტში არ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ავტოსადგური მდებარეობს ახალქალაქის გასასვლელში. მუნიციპალიტეტში არსებობს სოფლებში

მიმავალი ავტობუსები, მიკროავტობუსები და კერძოტაქსები. ტრანსპორტი მუშაობს შემდეგ მარშრუტებზე: ახალქალაქი-თბილისი, ახალქალაქი-ბათუმი, ახალქალაქი-ახალციხე და ახალქალაქი-ერევანი. სატრანსპორტო მომსახურება სოფლების მიმართულებით სეზონურია, რადგან კლიმატური პირობები ზამთარში მგზავრობის საშუალებას არ იძლევა. აღსანიშნავია მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული) მნიშვნელობაც, რადგან ის იძლევა რეგიონიდან მინერალური რესურსების გატანის შესაძლებლობას და შეუძლია ხელი შეუწყოს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესს. დღესდღეობით ეს გზა არ არის სათანადოდ დატვირთული. ის ზამთრის განმავლობაში იკეტება, ხოლო ზაფხულში ახერხებს მგზავრთა გარკვეული რაოდენობისა და ტვირთების ნაწილის ტრანსპორტირებას. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაივლის ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა.

კომუნიკაციები (ტელევიზია და რადიო, ინტერნეტი,ფიჭური კავშირი)

მუნიციპალიტეტში ფიჭური კავშირის სამი ოპერატორია: მაგთიკომი, ჯეოსელი და ბილაინი. ქ. ახალქალაქში სილქნეტმა და მაგთიკომმა დაიწყეს საკაბელო ტელევიზიის და ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის მიწოდება. აღნიშნული პროვაიდერები კერძო კომპანიებია. მუნიციპალიტეტს აქვს ონლაინ საინფორმაციო პორტალი "ჯ-ნიუსი". ახალქალაქის მუნიციპალიტეტს ფარავს ადგილობრივი ტელეარხები: "ATV 12" და "ფარავანი" და რადიო სადგურები. ყველა პროგრამა სომხურ ენაზე გადაიცემა. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სოფლებში ეროვნული არხების მაუწყებლობა (დაფარვა) სუსტია და ნაკლებად ყურებადი.

3.9 ეკონომიკური განვითარება

3.9.1 ეკონომიკური საქმიანობის პროფილი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 523 კომპანია შემდეგ სფეროებში: საცალო ვაჭრობა; მშენებლობა; საბითუმო ვაჭრობა; სურსათის წარმოება; ფინანსური მომსახურება; სოფლის მეურნეობა; კვების მომსახურება; ჯანდაცვა (მათ შორის აფთიაქი და სტომატოლოგია); სხვა მომსახურება, როგორიცაა სილამაზის სალონები და კოსმეტიკა; სანოტარო მომსახურება; ავტომობილების ტექნიკური მომსახურება (სარემონტო, სამრეცხაო და სხვა); ტელეფონის სარემონტო მომსახურება და IT მხარდაჭერა; საბუღალტრო მომსახურება; წარმოება; სასტუმროები; განათლება; ენერგეტიკა; კომუნიკაცია; აზარტული თამაშები; გართობა და დასვენება; ტრანსპორტი; მშენებლობა და სარემონტო მომსახურებადა ა.შ. ქვემოთ მოყვანილი სქემა გვიჩვენებს, რომ უფრო დიდ პროპორციას - 65%-ს (340 ბიზნეს სუბიექტი) შეადგენს საცალო ვაჭრობა, რომელთა უმრავლესობა მცირე საწარმოებითაა წარმოდგენილი. სოფლის მეურნეობა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საწარმოების 3%-ს შეადგენს (15 ბიზნეს სუბიექტი). თუმცა, ეს მაჩვენებელი მხოლოდ დარეგისტრირებულ კომპანიებს მოიცავს და არა თვითდასაქმებულ ფერმერებს, რომლებიც არარიან საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში შეყვანილი. მიუხედავად ამისა, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობაში.



დანართი 1_ახალქალაქის LDS განვითარებისათვის თემის პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლის ძირითადი მიმოხილვა

<u>საცალო ვაჭრობა, კომერცია და ვაჭრობა</u>

სოფლების უმრავლესობაში საცალო ვაჭრობის ადგილები საბჭოთა პერიოდში აშენდა და ახლა კერძო მფლობელობაშია. არსებული სივრცის დაახლოებით 70% კარგ მდგომარეობაშია და მათ მცირე მაღაზიებად იყენებენ. საშუალოდ, ყოველ სოფელში ერთი პატარა ჯიხური ან მაღაზიაა. არსებული მაღაზიების 70%, განსაკუთრებით კი მცირე ჯიხურები, არ არის იურიდიულად რეგისტრირებული საშემოსავლო სამსახურში, რაც ართულებს მფლობელებისგან ინფორმაციის მიღებას მათი ბრუნვის შესახებ. იურიდიული სტატუსის მქონე მაღაზიები რეგისტრირებულია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ან ინდმეწარმე. ახალქალაქის თემების უმრავლესობაში არ არის საპარიკმახერო, ატელიე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემკეთებელი სახელოსნო, აფთიაქი და სხვა არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესი ან მომსახურება.

ყველა სოფელში არის პატარა მაღაზია, რომელიც ვაჭრობს ძირითადად აუცილებელი პროდუქციით, როგორიცაა: ფქვილი, შაქრი, საპონი, სიგარეტი, სასმელები, ტკბილეული და ა.შ. ბევრი სხვა საქონელი იყიდება ახალქალაქის მაღაზიებში ან ღია სასოფლო-სამეურნეო ბაზრობაზე. ადგილობრივი მცირე მოვაჭრეები ხშირად იძენენ ამ საქონელს ახალქალაქში და ჰყიდიან სოფლებში. საკვებით, სასმელებით და სხვა სამომხმარებლო პროდუქტებით მომარაგებას ახორციელებენ სადისტრიბუციო კომპანიები, თუმცა მოვაჭრეების დაახლოებით 10% (მსხვილი სოფლების მოვაჭრეები) გარკვეულ საქონელს პერიოდულად ყიდულობს თბილისში. ქალაქ ახალქალაქში არის ბაზარი, მაღაზიები და ჯიხურები, თუმცა პატარა მაღაზიებში არჩევანიდაბალია მომხმარებელთა დაბალი მოთხოვნის გამო.

3.9.2 სოფლის მეურნეობა

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაშია ჩართული. სოფლის მეურნეობას მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში

მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის. სოფლად ოჯახების 100% ფლობს სახნავ-სათეს მიწას და ჩართულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში - სულ მცირე, საარსებო დონეზე მაინც. წამყვანი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა ბოსტნეულის მოყვანა (ძირითადად მეკარტოფილეობა), რასაც მოჰყვება მეცხოველეობა, ძირითადად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება, მეფუტკრეობა, და მეთევზეობა. კლიმატური პირობები ამ ტერიტორიაზე არ იძლევა მრავალი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანის საშუალებას, თუმცა ხილის სახეობებიდან მოდის: ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ასევე ასკილი, სხვადასხვა კენკროვანები და კაკალი. რაც შეეხება მებაღეობასა და მებოსტნეობას, არსებობს ჭარხლის, ნივრის, ხახვი, კომბოსტოს, ლობიოს, თალგამისა და სტაფილოს მოყვანის პოტენციალი. ფერმერები ასევე აწარმოებენ ქერის, შვრიისა და ხორბლის კულტურებს, თუმცა მოსავლის მოცულობა შედარებით მცირეა.

სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობა დაბალია. უმეტესი კულტურების მოსავლიანობა ბოლო წლებში მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა, რისი მიზეზებიცაა: მცირე მეურნეობები; კოოპერირების სუსტი გამოცდილება და ფერმერთა უარყოფითი დამოკიდებულება თანამშრომლობასა და საერთო საქმიანობის მიმართ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, დამუშავებასა და მარკეტინგში; გაუმჯობესებული მაღალმოსავლიანი ჯიშებისა და ახალი ტექნოლოგიების არასათანადო გამოყენება, რაც საჭიროა პროდუქციის ინტენსიფიკაციისა და დივერსიფიცირებისთვის; სასოფლო-სამეურნეო რესურსების არასაკმარისი ხარისხი, როგორიცაა სასუქები; არსაკმარისი გასარწყავიანება და ტექნიკის გამოყენების დაბალი მაჩვენებელი. ამასთან ერთად, ფაქტორები, რომლებიც ფერმერებსა და ბაზრებს შორის კავშირების განმტკიცებას შეუწყობს ხელს, მაგალითად სასოფლო-სამეურნეო კვლევები, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურება და სახელმწიფოს პირდაპირი ხარჯები ჯერ კიდევ არ ფინანსდება საკმარისად.

<u>განვითარების შესაძლებლობები</u> - ადგილობრივი თემების მცხოვრებლებმა ხაზი გაუსვეს შემდეგი აგრობიზნესების განვითარების მნიშვნელობას: პირველადი წარმოების თვალსაზრისით. კარტოფილის მოყვანის გარდა, არსებობს მებაღეობის და მოსავლის ენერგოეფექტური სათბურების განვითარების შესაძლებლობა. ზოგიერთ თემს გააჩნია კალმახის რეწვის პოტენციალი უნიკალური წყლისა და ეკოლოგიური ფაქტორის გამო. აგრეთვე, მეფუტკრეობაში არსებობს ალპური თაფლის წარმოებას კარგი პოტენციალი.

მეორადი წარმოების და ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების თვალსაზრისით არსებობს ჭარხლის შაქრის წარმოების შესაძლებლობა; ასევე, კარტოფილისგან სახამებლისა და სპირტის წარმოების შესაძლებლობა; ცხოველთა საკვების წარმოების გარდა, ასევე, არსებობს სტანდარტების დაცვის შესაბამისად სასაკლაოს აშენების აუცილებლობაც. გარდა ამისა, რესპონდენტებმა აღნიშნეს კარტოფილის დამუშავებისა და შენახვა-დასაწყობების ობიექტების ორგანიზების საჭიროება.

3.9.3 ტურიზმი და რეკრეაცია

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ალპურ ზონაში კავკასიონის ქედის ვულკანურ პლატოზე (ზღვის დონიდან 1500-დან 3300 მეტრამდე). პლატოს ზედაპირი წარმოდგენილია ტალღოვანი ქედებით. აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს სამსრის

ქედი, რომლის უმაღლესი წერტილია მთა დიდი აბული (ზღვის დონიდან 3301 მ). მაღალმთიანი ფერდობები, საშუალოდ 2200-2600მ სიმაღლეზე, დაფარულია სუბალპური მცენარეებით, რომლებიც გამოიყენება საზაფხულო საძოვრებად. ეს ზონა მზიანია და კურორტის განვითარებისათვის მდებარეობა ხელსაყრელია.
რეგიონის ტურისტულ ინფრასტრუქტურას აკლია ტურისტების საცხოვრებელი ადგილები: კემპინგის ადგილები, გესტჰაუსები, საოჯახო სასტუმროები და სასტუმროები. ქალაქში არ არიან ტუროპერატორები. სტუმრისთვის შეზღუდულია ტურისტულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. არ არსებობს ორგანიზებული ტურისტული მარშრუტები, მიმართულებები, მარშრუტიანი რუკები ან ნიშნები და საინფორმაციო წყაროები. მიუხედავად მუნიციპალიტეტის პოტენციალისა, განავითაროს ტურისტული პროდუქტები, მიმზიდველი ადგილები, სერვისები და ინფრასტრუქტურა, აუცილებელია მუნიციპალიტეტის მარკეტინგული მხარდაჭერა და პოპულარიზება. ტურისტული სეზონი იწყება აპრილში და გრძელდება ნოემბრამდე.

მუნიციპალიტეტში ასევე შედის ჯავახეთის ეროვნული პარკი და კარწახის, სულდას, თეთრობისა და ქცია-ტაბაწყურის ეროვნული აღკვეთილები. ეროვნული პარკი მასპინძლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტებს, მოლაშქრეებს, მეთევზეებსა და ორნიტოლოგებს. დაცული ტერიტორიის სააგენტოში არის ვიზიტორთა ცენტრი, საკონფერენციოდარბაზი, ტექნიკა, ჰყავს პროფესიონალი რეინჯერები და აქვს რამდენიმე საოჯახო სასტუმრო. ჯავახეთის დაცული ტერიტორიის სტუმრებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი მომსახურება: ფრინველებზე დაკვირვება (მათ შორის შესაბამისი აღჭურვილობა); თევზაობა; ჯირითი; 15 ადამიანისთვის განკუთვნილი საპიკნიკე ფართი; ცეცხლის დასანთები ადგილით და სანაგვე ურნით. პარკინგი უფასოა. დაცული ტერიტორიების სააგენტო გვთავაზობს რამდენიმე მარშრუტს: ხანჩალის ტბა; მადადაფას ტბა; ბუღდაშენის ტბა; სულდას ჭაობიანი ნაკრძალი; კარწახის ჭაობიანი ნაკრძალი; მადადაფას მთა; ვეფხვის კანიონი. სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია: http://www.apa.gov.ge/en/eco-tourism/servisebi-da-tarifebi/djavaxetis-daculi-teritoriebiდა http://mygeorgia.ge/Default.aspx?map=Apa_Geoland_Physycal ვებგვერდებზე.

მუნიციპალიტეტი ამაყობს კულტურული მემკვიდრეობით, რომელიც მოიცავს ახალქალაქის ციხეს, აბულის ციხეს, კუმურდოს გუმბათოვან ტაძარს, სამსარის გამოქვაბულებს, ჩუნჩხას უძველეს დასახლებას და სახლებს, ვანქის ტაძარს, ალასტანის ეკლესიას, აზავრეთის ეკლესიას, ბურნაშეთის ეკლესიას, კოჭიოს ეკლესიას და ა.შ.

3.9.4 წარმოება და გადამუშავება

მუნიციპალიტეტის წარმოების ძირითადი სფეროა მინერალური ქვის დამუშავება და წარმოება. ისინი აწარმოებენ სხვადასხვა ტიპის ბაზალტის ფილებს, რომლებსაც ძირითადად იყენებენ ტროტუარებსა და გარე ფასადის მოსაპირკეთებლად. ბაზალტის ქვის მწარმოებლები ძირითადად მცირე ზომის საწარმოებია. ბევრად უფრო დიდი კომპანიები აწარმოებენ ხრეშს, ღორღს, ქვიშას და პემზას სამშენებლო მიზნებისათვის.
ადგილობრივ ბაზარზე არსებობს გამაგრილებელი სასმელების წარმოების მინი-ქარხნები. ახალქალაქში მოქმედებს ერთი კარაქის მწარმოებელი და საკონდიტრო კომპანია - "ალპენმილკი", რომელიც აწარმოებს პროდუქციას ადგილზე და ყიდის როგორც ქვეყნის

მასშტაბით, ასევე გააქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ. ადგილობრივი ლუდის კომპანია "ბალისი" რამდენიმე წლის წინ დაიხურა. ინვესტირების შემთხვევაში არსებობს ჩამოსასხმელი მინერალური წყლის წარმოების პოტენციალიც. ზოგადად, არსებობს სურსათის და სასმელების წარმოების და კომერციალიზაციის პოტენციალი (მაგ. ლუდი, საკონდიტრო, ყველი, ხორცი, პურ-ფუნთუშეული, კონსერვები, მურაბები და სხვ.), რაშიც დიდ როლს შეასრულებს ადგილობრივი ტრადიციების, ეთნოგრაფიული მომზადების წესების, კულტურის ან რეცეპტების აღდგენა.
აგრო-სასურსათო პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად იხილეთ დანართი 7.

4. სექტორული შეჯამება და მომავალი განვითარების გამოწვევები

დეტალური SWOT ანალიზი, როგორც საკონსულტაციო პროცესის მთავარი ნაწილი, ჩატარდა სამმხრივი მიმართულებით (ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური) და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ეკონომიკა	
S	**W**
- გეოგრაფიული მდებარეობა მეზობელ ქვეყნებთან სომხეთთან და თურქეთთან; საერთაშორისო საგზაოკავშირები - ხელსაყრელი ალპური კლიმატური პირობები სხვადასხვა კულტურების მოსაყვანად (კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალიდასხვ.); ალპური მდელოები მეფუტკრეობისა და მეცხოველეობისთვის - ცივიკლიმატი, რომელიც ხელს უშლის მრავალი სასოფლო-სამეურნეო დაავადებისა და ვირუსების გავრცელებას - ბუნებრივი რესურსები: ნაყოფიერი მიწა, ბაზალტი, პემზა, კირქვა, მარმარილო, ხრეში, წყლის რესურსები (მინერალური წყალი, მდინარეები და ტბები) - სამეწარმეობაზე ორიენტირებული მოსახლეობა - ხელმისაწვდომი აგრო-დაზღვევა - შეღავათიანი აგროკრედიტის სახელმწიფო მხარდაჭერა - სოფლის მეურნეობაში კოოპერირების გამოცდილება - საერთაშორისო დონორების ფართო მხარდაჭერა - მთიანი რეგიონებისთვის საგადასახადო შეღავათები	- მკაცრი და გრძელი ზამთრის პერიოდი - ცუდი ინფრასტრუქტურა სოფლად - ადგილობრივიბაზრის პროდუქციაზე სუსტიხარისხის კონტროლი, განსაკუთრებით სურსათის უვნებლობის - ინოვაციების ნაკლებობა ბიზნესში - ახალგაზრდების სუსტი აქტივობაბიზნეს საქმიანობაში - კვალიფიციური სპეციალისტების/კადრების ნაკლებობა - სოფლის მეურნეობაში სუსტიკონკურენტუნარიანობა, მარკეტინგი და გაყიდვები - სუსტი ეკონომიკური თანამშრომლობა ბიზნეს მოთამაშეებს შორის - მცირე ზომის, დაურეგისტრირებელი და ფრაგმენტული მიწის ნაკვეთები - სასოფლსამეურნეო ინფრასტრუქტურის, ტექნოლოგიების ნაკლებობა (სარწყავი, საწყობი, დანადგარები და ა.შ.) - სუსტი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა - საძოვრების მართვის სისუსტე - შრომის დივერსიფიცირების არ არსებობა სხვადასხვა სექტორებში - ტყის ზოლების და ბაღების არარსებობა - აგროკრედიტზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა
O	**T**
- საექსპორტო ბაზრებთან კავშირი და	- ფინანსური (ვალუტის) არასტაბილურობა

საქონელბრუნვის ზრდა - წარმოებისა და მრეწველობის განვითარება - სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავება (მათ შორის, სამედიცინო მცენარეების) - ხორცის, რძის, თევზისა და თაფლის წარმოების განვითარება, მათ შორის ჯიშების გაუმჯობესება - განახლებადი ენერგიის გამოყენება - საერთაშორისო კავშირები (ჩინეთთან და ევროპასთან) - აგრო ტურიზმის და ტურიზმის განვითარება - მიწის რესურსების რაციონალური გამოყენება - ინვესტორების მოზიდვა და ინოვაციების მხარდაჭერა - ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა	- პოლიტიკური და ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები - მკაცრი კლიმატური პირობები (ყინვა, სეტყვა, თოვლი და გვალვა) - ახალი დაავადებები, მწერები და მღრღნელები - ნიადაგის ეროზია - წყლის დაბინძურება - გლობალური დათბობა - ბუნებრივი კატასტროფები - მოსახლეობის დაბერება

სოციალური	
S	**W**
- საგანმანათლებლო პროგრამაზე ხელმისაწვდომობა 4 + 1 - მოწვეული პედაგოგები სკოლებში - რეაბილიტირებული საავადმყოფო და საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა - მასწავლებლების და სამედიცინო პერსონალის უმეტესობა ქალია - ინფრასტრუქტურული პროექტები (გზები, საბავშვო ბაღები, სკოლები და სხვ.)ყოველწლიურად ხორციელდება - უფასო საჯარო განათლება - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განათლების სფეროში - საგანმანათლებლო სფეროში დაფინანსების დინამიური ზრდა - უფასო სამედიცინო დაზღვევა - ცენტრალური საავადმყოფოს არსებობა - სასწრაფო დახმარების არსებობა (3 ეკიპაჟი) - მიმდინარე რეფორმები ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში - მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული გარკვეული ქონების - ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის დინამიური ზრდა - ახალი მუნიციპალური პროექტების განხორციელება - ადგილობრივი არასამთავრობო	- სუსტი სოციალური ინტეგრაცია და კეთილდღეობა - არასაკმარისი სამედიცინო პერსონალი, აღჭურვილობა და კლინიკები - საზოგადოების სუსტი ინფორმირება მომსახურების და სოციალური შეღავათების შესახებ - ქალების სუსტი აქტივობა და ადგილობრივი თვითმმართველობაში წარმომადგენლობის ნაკლებობა - სახელმწიფო ენის იგნორირება (ქართული) უმცირესობებში - სუსტად განვითარებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთანამშრომლობა და ფინანსური მხარდაჭერის - ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი მოტივაცია მონაწილეობა მიიღონ (დასწრება) მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვისა და განაწილების პროცესში - კვალიფიციური პედაგოგების ნაკლებობა - სუსტი ინფრასტრუქტურა განათლების სისტემაში - თანამედროვე პროფესიული და არაფორმალური განათლების არარსებობა - გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდობა და ქალთა ჩართულობა

ორგანიზაციების არსებობა და ცნობადობა - არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე პროფესიონალები	- განუვითარებელი სპორტული და დასასვენებელი ღონისძიებები - უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების სუსტი კონკურენტუნარიანობა - ფერმერებშიარასაკმარისი ცოდნა გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიები
O	**T**
- მოსახლეობის სოცილაური ინტეგრაცია - პროფესიული და არაფორმალური განათლება - სახელმწიფო და საერთაშორისო ენების ცოდნა - ჯანდაცვის მომსახურების გაუმჯობესება - სპორტისა და დასვენების ინფრასტრუქტურის განვითარება - გენდერის და ახალგაზრდების ჩართულობაადგილობრივიდემოკრატიის საკითხებში - დამატებითი დაფინანსების მოძიება და ინვესტიციების მოზიდვა - თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარება - ადგილობრივი კულტურის დაფასება და აღიარება - სამოქალაქო სივრცის განვითარება - ადგილობრივი მედიის გაძლიერება - ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარება - ახალგაზრდული კლუბების შექმნა	- მოსახლეობის მიგრაცია, განსაკუთრებით ახალგაზრდების) - ადრეულიქორწინება - სახელმწიფოენისიგნორირება - პოლიტიკურიარასტაბილურობა

ტურიზმი, კულტურა, გართობა და რეკრეაცია	
S	**W**
- გეოგრაფიული ადგილმდებარეობა - ბუნებრივი რესურსები (მდინარეები, ტბები, ალპური მდელოები და მთები) - ქართული და სომხური კულტურული მრავალფეროვნება და მემკვიდრეობა - კულტურული ობიექტები, ღირშესანიშნაობები (ძეგლები, ისტორიული საგანძური და მემკვიდრეობა) - ალპური ფლორა და ფაუნა - ეროვნული პარკი და დაცული ტერიტორიები, დასვენება ველურ ბუნებაში	- არასაკმარისი გამოცდილება და უნარები (პერსონალი) ტურიზმისა და მომსახურების სფეროში - ტურისტებისა და ვიზიტორებისსიმცირე - ტურიზმის განვითარებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ინფრასტრუქტურის განუვითრებლობა - მომსახურების ობიექტების, რეკრეაციული ობიექტების, ღისშესანიშნაობის და კულტურული ღონისძიებების ნაკლებობა (სასტუმროები, კაფეები, რესტორნები და

- ეროვნული სამზარეულოსა და ეთნიკური კულტურების მრავალფეროვნება - ვიზიტორებისთვის უსაფრთხო და დაცული ადგილები	ა.შ.) - შიდა ტურიზმის არარსებობა - ტურისტულ სააგენტოებთან კომუნიკაციის ნაკლებობა - გამყოლი გიდების ნაკლებობა - სუსტი პოპულარიზაცია, სარეკლამო და საინფორმაციო მხარდაჭერა, მონაცემების არ არსებობა (რუკები, დასვენების ადგილები, მარშრუტები და ა.შ.) - ახალგაზრდული პროგრამების ნაკლებობა - სხვა რეგიონებთან ეროვნულ დონეზე და საერთაშორისო დონეზეგამოცდილების გაზიარების არ არსებობა
O - ტურისტული საინფორმაციო ბაზის შექმნა - რეკლამა და მარკეტინგი (ბანერები, ბუკლეტები, ვიდეოები და ა.შ.) - ტურისტული მარშრუტების შექმნა, დასვენების ადგილები, ღირსშესანიშნავი ადგილების განვითარება და კულტურილი ღონისძიებების მოწყობა - ადგილობრივი კულტურის დაფასების და აღიარების გაზრდა - ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სოფლად - ტურისტული ინფრასტრუქტურის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება - ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარება - განათლება ტურიზმისა და მომსახურების სფეროში - ზამთრის ტურიზმის განვითარება - ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებშიმონაწილეობა - კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის ადვოკატირება	**T** - კონკურენცია ტურიზმის სფეროში საქართველოს სხვა რეგიონებთან - გარემოს დაბინძურება - კლიმატის ცვლილება - ბუნებრივი კატასტროფები

ეკოლოგია და გარემოს დაცვა	
S - გეოგრაფიული მდებარეობა და თვალწარმტაცი ბუნება - უნიკალური ალპური კლიმატი - მდიდარი ბუნებრივი რესურსები, ნიადაგი, მდინარეები და ტბები - მდიდარი ფლორა და ფაუნა - ჯავახეთის დაცული ტერიტორიები (1 ეროვნული პარკი და 6 აღკვეთილი)	**W** - მოსახლეობის განათლების, ინფორმირებულობის და ცნობიერების დაბალი დონე გარემოსდაცვით საკითხებში - სათავე აუზების შეუთავსებლობა სტანდარტებთან და სასმელი წყლის დაბალი ხარისხი - ადგილობრივი თვითმმართველობის არასაკმარისი კოორდინირებული თანამშრომლობა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან

	- ეროზია (ქარი, წყალი, ჭიები) - რეკრეაციული ტერიტორიებისა და ტყეების სიმცირე - ბუნების დაბინძურება სხვადასხვა ნარჩენებითა და სპონტანური ნაგავსაყრელებით - სუსტი (ნაკლებად მკაცრი) კანონმდებლობა გარემოსდაცვითიდარღვევებისა და ბრაკონიერობის წინააღმდეგ - მიწის რესურსების არაოპტიმალური გამოყენება - არასწორი გამოყენებადაბალი ხარისხის სასუქების და პესტიციდების - ნარჩენების მართვის არარსებობა
O - საკანალიზაციო და დასუფთავების ობიექტების მშენებლობა - ნარჩენების მართვისა და გადამუშავების გაუმჯობესება - მწვანე ლანდშაფტისა და ეკოტურიზმის განვითარება - სასუქების, პესტიციდების და ჰერბიციდების ეფექტური გამოყენება - გარემოსდაცვითი მენეჯმენტის ხელშეწყობა	**T** - გარემოს დაბინძურება - კლიმატის ცვლილება და ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები - ბუნებრივი და ბიოლოგიური საფრთხეები (დაავადებები) და კატასტროფები - სარკინიგზო და ჰიდრო-ელექტროსადგურების ექსპლუატაცია წარმოშობს ეკოლოგიურ პრობლემებს და საფრთხეს უქმნისფაუნას

ახალქალაქის LAG-მა ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინების ფონზე, კონსულტაციების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით გამოყო შემდეგი ოთხი ***პრიორიტეტული სექტორი:***

1. ეკონომიკა
2. სოციალური სფერო
3. ტურიზმი, კულტურა, გაართობა და რეკრიაცია
4. ეკოლოგია და გარემოსდაცვა

სამუშაო შეხვედრებისა და ჯგუფური დისკუსიების დროს აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი საკითხი მეორდებოდა ყველა სექტორში. აქედან გამომდინარე დადგინდა გადამკვეთი სფეროებიც, რომლებიც საერთოა LDS-ის ყველა პრიორიტეტული სექტორისთვის.

გადამკვეთ სფეროებში შედის

1. ეკოლოგია და გარემოსდაცვა
2. გენდერი და ახალგაზრდობა
3. უმცირესობები და ინტეგრაცია
4. ინოვაცია
5. ეროვნული ენის პოპულარიზაცია

SWOT ანალიზის ძირითადი გამოწვევების შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- მებაღეობის, მეცხოველეობის და მერძევეობის, მეფუტკრეობისა და მეთევზეობის პროდუქტიულობისა და ეფექტურობის გაზრდა; სოფლის მეურნეობის

დივერსიფიკაციის მიზნით ახალი მიმართულებების დანერგვა;
- სოფლის მეურნეობაში მწარმოებლების, დამამუშავებლების, ბაზრის კავშირების და ღირებულებათა ჯაჭვის ხელშეწყობა;
- ეკონომიკის დივერსიფიცირების, მათ შორის მომსახურებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
- ტურიზმის მხარდაჭერა განვითარებადი სერვისების, დასვენების ზონების, ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტრადიციული საქმიანობის აღორძინების ხელშეწყობა;
- ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მიგრაციის შემცირება;
- სახელმწიფო ენის სწავლებისა და ცოდნის გაუმჯობესება;
- უმცირესობების ინტეგრირების გაუმჯობესება;
- სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ადგილობრივი გადაწყვეტილებების მიღებასა და გარემოსდაცვაში გენდერის და ახალგაზრდების ჩართულობის გაუმჯობესება;
- გარემოსდაცვის, ეკოლოგიისა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება

5. ადგილობრივი განვითარების სტრატეგია - LDS

ახალქალაქის LAG-ის მიერშემუშავებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგია - LDS-ი ემსახურება ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიცირებას, ადგილობრივი უმცირესობების ინტეგრირებას და მუნიციპალიტეტის გარდაქმნას უკეთეს საცხოვრებელ ადგილად ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი განვითარების ხელშეწყობის გზით. LDS-ი განსაზღვრავს მოქმედებების ფარგლებს და ხაზს უსვამს მის ძირითად მიზანს ინტერვენციის ოთხი სტრატეგიული მიმართულების გათვალისწინებით, რომლებიც მოიაზრება, როგორც LDS-ისოთხი სტრატეგიული ამოცანა. თითოეული ამოცანა გათვლილია სასურველი შედეგების მიღწევაზე და მკაფიოდ განსაზღვრავს მოსალოდნელ რეზულტატებს. ამასთან ერთად შესაძლებელია მიღწეულ შედეგებზე დაკვირვება ქვემოთ მოყვანილ ინდიკატორებზე დაყრდნობით.

მიზნის, ამოცანების, შედეგებისა და ინდიკატორების განსაზღვრის საილუსტრაციო სქემა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ გრაფიკში.



ახალქალაქის LDS-ისმთავარი მიზანია

ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიცირება, ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაცია და მუნიციპალიტეტის გადაქცევა უკეთეს საცხოვრებელ ადგილად

ამოცანა#1:

ადგილობრივი შემოსავლის გაზრდა და ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელისშეწყობა.

ამოცანა#2:

სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ფოკუსით.

ამოცანა#3:

ადგილობრივი ტურიზმის პოტენციალის გაფართოება და ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია და მხარდაჭერა.

ამოცანა #4:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება და გარემოს დაცვითი პრაქტიკის დანერგვა

6. LDS მოქმედების გეგმა –ინტერვენციის მატრიცა

	ამოცანა#1: ადგილობრივი შემოსავლის გაზრდა და ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადი

	განვითარების ხელისშეწყობა		
#	**განვითარების პრიორიტეტები - შედეგები**	**პოტენციური პროექტის მიმართულებები-საქმიანობები**	**ინდიკატორი**
1	მეტად დივერსიფიცირებული, პროდუქტიული და ეფექტური სოფლის მეურნეობის სექტორი, ეკოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკის ხელშეწყობით	ინოვაციური პრაქტიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდას	#დადგენილი პრაქტიკა და ტექნოლოგიები;
		სასოფლო სამეურნეო კოოპერირების და სხვა ფერმერული გაერთიანებების განვითარების ხელშეწყობა	#ინტერვენცია
		სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა	#მხარდაჭერილი ინიციატივები
		სოფლის მეურნეობის მომსახურების მიმწოდებლების გაძლიერება (კერძო და საჯარო)	#მხარდაჭერილი საჯარო და კერძო სასოფლო-სამეურნეო მომსახურების მიმწოდებლები
		ეკო/ბიოლოგიური სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვა	#დანერგილი ახალი პრაქტიკა
		ფერმერებს შორის ენერგოეფექტური და გარემოსდაცვითი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა	# მხარდაჭერილი ინიციატივები
		ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერა წარმოებაში, დამუშავებასა და მარკეტინგში	# მხარდაჭერილი ინიციატივები
		სოფლის მეურნეობაში ქალებისა და ახალგაზრდების მცირე და საშუალო ბიზნესის პროექტების მხარდაჭერა	#მხარდაჭერილი ინიციატივები #მხარდაჭერილი ქალები და ახალგაზრდები #შექმნილი სამუშაო ადგილები
2	ადგილობრივი ეკონომიკის (მცირე და საშუალო ბიზნესის) დივერსიფიკაცია და ბიზნეს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	ინოვაციური/არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესის და წარმოების ბიზნესდივერსიფიცირების ხელშეწყობა	# ჩამოყალიბებული არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესი; #არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესში შექმნილი ადგილები
		ინოვაციურ არასასოფლო-სამეურნეოსაწარმოებში ქალებისა და ახალგაზრდების მცირე და საშუალო ბიზნესის პროექტების მხარდაჭერა	#მხარდაჭერილი პროექტები #მხარდაჭერილი ქალები და ახალგაზრდები #შექმნილი სამუშაო ადგილები
სამიზნე ჯგუფი/დაინტერესებული მხარეები: ფერმერები; კოოპერატივები; მომსახურების მიმწოდებლები; კერძო პირები; კერძო სექტორი; სახელმწიფო ორგანიზაციები; არასამთავრობო ორგანიზაციები.			
მოსალოდნელი შედეგები: - გაზრდილი პროდუქტიულობა არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიმართულებებში - უკეთესი კონკურენტუნარიანობა და ბაზარზე წვდომა			

- პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება
- სოფლისმეურნეობასა და არასასოფლო-სამეურნეო ბიზნესში დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობები
- ადგილობრივი მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან გაზრდილი შემოსავლები
- ახალგაზრდების და ქალების გაუმჯობესებული ჩართულობა
- დივერსიფიცირებული ადგილობრივი ეკონომიკა, მათშორის სოფლის მეურნეობა
- გაუმჯობესებული ცნობიერების დონე და ხელმისაწვდომობა სოფლის მეურნეობასა და ბიზნესთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე
- გაუმჯობესებული ბიზნეს ინფრასტრუქტურა და ადგილობრივი მომსახურება
- შემოტანილი ახალი ტექნოლოგიები, პრაქტიკა და გარემოსდაცვითი მიდგომები

#	**ამოცანა#2: სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ფოკუსით**		
	განვითარების პრიორიტეტები - შედეგები	**პოტენციური პროექტის მიმართულებები-საქმიანობები**	**ინდიკატორი**
1	ცხოვრების ხარისხის, განათლების, სპორტის, კულტურისა და სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესებას	საზოგადოებრივი და სოციალური ინფრასტრუქტურისა და ობიექტების განვითარების ხელშეწყობა	#მხარდაჭერილი ინიციატივები
		თემში სოციალური მომსახურების გაუმჯობესება	# მხარდაჭერილი ინიციატივები
		საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია	#მხარდაჭერილი ინიციატივები
		კულტურული ღონისძიებების და ინტეგრაციის ინიციატივების ხელშეწყობა	# ღონისძიებები
		ფიჭური და სახელმწიფო ტელევიზიის გადაცემებისა და ინტერნეტ კავშირის ხელმისაწვდომობის და გაუმჯობესების ხელშეწყობა	#მხარდაჭერილი ინიციატივები
		სოციალური მეწარმეობის განვითარების წახალისება	#მხარდაჭერილი სოციალური საწარმოები
2	მხარდაჭერილი ადგილობრივი გენდერი და ახალგაზრდობა	სოციალურ საქმიანობაში გენდერისა და ახალგაზრდების ჩართულობა	#მხარდაჭერილი ინიციატივები

სამიზნე ჯგუფები/დაინტერესებული მხარეები:

ადგილობრივი მოსახლეობა, ქალები, ახალგაზრდები, ბავშვები, ხანდაზმული ადამიანები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, ხელოვანი ადამიანიები, ხელოსნები და სპორტსმენები, სახელმწიფო და კერძო კომპანიები, სახელმწიფო ორგანიზაციები და მუნიციპალური მომსახურების პროვაიდერები, ჯანდაცვის სამსახურები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ადგილობრივი თვითმმართველობა და მმართველობა, არასამთავრობო ორგანიზაციები

მოსალოდნელი შედეგები:

- გაუმჯობესებული და ხელმისაწვდომი ადგილობრივი ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება
- გაუმჯობესებული და სხვადასხვა ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა და ობიექტები
- მოქალაქეთა ყველა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი და გაუმჯობესებული განათლება
- გაუმჯობესებული განათლება, სპორტი და კულტურა - ახალგაზრდული ინფრასტრუქტურა
- გაუმჯობესებული მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივ გადაწყვეტილებებში
- უფრო ძლიერი და აქტიური ქალები
- უფრო ინტეგრირებული უმცირესობა
- უკეთესი საჯარო და კერძო პარტნიორობა
- ძლიერი ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი
- უკეთესი მედია საშუალებები, გაუმჯობესებული ცოდნა და ხელმისაწვდომი ინფორმაცია პროექტების, პროგრამების, დამატებითი ფინანსების, სტიპენდიების და გრანტების შესახებ და ა.შ.

#	ამოცანა#3: ადგილობრივი ტურიზმის პოტენციალის გაფართოება და ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია და მხარდაჭერა		
	განვითარების პრიორიტეტები - შედეგები	**პოტენციური პროექტის მიმართულებები-საქმიანობები**	**ინდიკატორი**
1	განვითარებული ტურისტული მომსახურება და ინფრასტრუქტურა სოფლებსა და ქალაქებში ეკოლოგიურად უსაფრთხო პრაქტიკის შესაბამისად	ტურიზმთან დაკავშირებული მომსახურების მხარდაჭერა თემებში, მათშორის კვების ობიექტების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	# ტურიზმთან დაკავშირებული მომსახურება, მათშორის, საკვები და საცხოვრებელი პირობების დაფინანსება
		ტურიზმთან დაკავშირებული გადამკვეთი სექტორების მხარდაჭერა, როგორიცაა აგროტურიზმი, ეკოტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმიდასხვ.	#ტურიზმთან დაკავშირებული გადამკვეთი სექტორების მხარდაჭერა ბიზნესების დაფინანსება
		ტურისტული პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა; ტრადიციებისა დაეთნო-კულტურული მემკვიდრეობის ავთენტური პროდუქტების აღდგენა	#ტურიზმთან დაკავშირებული პროდუქტების მწარმოებლების მხარდაჭერა
		ტურისტული ადგილებისთვის რუკების შედგენა	#კატალოგის შედგენა დადაბეჭდვა
		ტურიზმის მომსახურების მიმწოდებლების უნარ-ჩვევების, სტანდარტებისა და შემოსავლიანობის გაზრდის ხელშეწყობა	#მხარდაჭერილი ინიციატივები
		კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია და კონსერვაცია	#მხარდაჭერილი ინიციატივები
		კულტურული ღონისძიებების	#მხარდაჭერილი ღონისძიებები და

		ორგანიზება, ადგილობრივი ხელოვნებისა და ხელნა კეთობის, როგორიცაა გამოფენები, ფესტივალები, კონკურსები და სხვ.	საქმიანობები
2	ტურისტებისა და ვიზიტორების დასვენების, გასართობი და რეკრეაციული დანიშნულების ადგილები განვითარება	ჯავახეთის დაცული ტერიტორიის მომსახურების პოპულარიზაცია	ჯავახეთის დაცული ტერიტორიების განთავსება კატალოგებსა და ბეჭდურ მასალებში
		ტურისტებისა და ვიზიტორებისთვის ადგილების / ღირსშესანიშნაობების განვითარება	#მხარდაჭერილი ინიციატივები
		ტურიზმთან, დასვენებასთან, გართობასა და რეკრეაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება	# ბეჭდური მასალების შემუშავება და გავრცელება, რუკები, ნიშნები, ვებ-გვერდი

სამიზნე ჯგუფები/დაინტერესებული მხარეები:.

ადგილობრივიმოსახლეობა, ხელოვანი ადამიანები, ხელოსნები, ტურისტებისადავიზიტორებისმომსახურებისანპროდუქტებისგავრცელებასადაგაფართოებისპოტენციურ ტურისტულზონებთან / მარშრუტებთანახლოსმცხოვრები / მოქმედიანახალი დაწყებულიბიზნესები; ქალებიდაახალგაზრდები; საჯაროდაკერძო(კომერციულიდაარაკომერციული) სექტორისორგანიზაციები, რომლებიცხელსუწყობენტურიზმისგანვითარებას; სახელმწიფოორგანიზაციებიდამუნიციპალურიმომსახურებისპროვაიდერები.

მოსალოდნელი შედეგები:

- ადგილობრივი მოსახლეობა და ბიზნესი იღებს მეტ სარგებელს ტურიზმისგან
- განვითარდა ტურიზმთან დაკავშირებული მომსახურება და პროდუქტები
- გაიზარდა ვიზიტორთა რაოდენობა
- ტურიზმის სფეროში ჩართულია მეტი ახალგაზრდა და ქალები
- ადგილობრივი ეკონომიკა სოფლის მეურნეობის სექტორისგან უფრო დივერსიფიცირებულია
- ტურიზმის სექტორში დასაქმებულია მეტი ადამიანი
- გაუმჯობესდა ბიზნეს ოპერატორების მომსახურების ხარისხი და უნარების დონე
- გაიზარდა ტურიზმის ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების შესაძლებლობები
- გაიზარდა ტურისტთა რაოდენობა
- განვითრდა ახალი მიმართულებები, მარშრუტები და კულტურის ადგილები, დასვენებისა და რეკრეაციის ზონები
- გაუმჯობესდა ტურიზმის, კულტურის, გასართობი და დასასვენებელი ინფრასტრუქტურა

#	ამოცანა #4: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება და გარემოს დაცვითი პრაქტიკის დანერგვა		
	განვითარების პრიორიტეტები - შედეგები	**პოტენციური პროექტის მიმართულებები-საქმიანობები**	**ინდიკატორი**
1	ეკოლოგიური და ენერგოეფექტური პრაქტიკის	განახლებადი ენერგომოხმარება, ენერგოეფექტური პრაქტიკის	#მხარდაჭერილი პროექტები

	ხელშეწყობა	დანერგვა და მისი პოპულარიზაცია	
		გარემოსდაცვითი პრაქტიკა და მისი პოპულარიზაცია	#მხარდაჭერილი პროექტები
		მიტოვებული ადგილების რეაბილიტაცია და აღდგენა	#მხარდაჭერილი ინიციატივები
2	ნარჩენების მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება და გადამუშავება	ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება, მათ შორის შეგროვებისა და ნაგავსაყრელის	#შეხვედრები, დასწრება, სამუშაო შეხვედრა, წერილები, შუამდგომლობა
		სასოფლო-სამეურნეო და ბიო-ნარჩენების მართვის სისტემის გამოყენება და მისი პოპულარიზაცია	#მხარდაჭერილი ინიციატივები
3	გარემოს დაცვა და ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის შენარჩუნება	რეკრეაციული ადგილებისა დატყეებისრეაბილიტაცია	#მხარდაჭერილი ინიციატივები
		პარკების, ბილიკები, გაზონების და ა.შ. გაუმჯობესება	#მხარდაჭერილი ინიციატივები

სამიზნე ჯგუფები/დაინტერესებული მხარეები:

ფერმერები, კოოპერატივები, აგროსერვის-პროვაიდერები, ადგილობრივი მოსახლეობა, კერძო კომპანიები, სახელმწიფო ორგანიზაციები და მუნიციპალური მომსახურების პროვაიდერები, ჯავახეთის დაცული ტერიტორია, ადგილობრივი ქალები და ახალგაზრდები

მოსალოდნელი შედეგები:

- გაუმჯობესდა ნარჩენების მართვის პრაქტიკა
- გაუმჯობესდა გარემოსდაცვითი პრაქტიკა ადგილობრივ მოსახლეობაში, სხვადასხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებში
- უკეთესად დაცული ფლორა და ფაუნა
- მეტი რეკრეაციული ადგილი და ტყის ზონა

7. საგრანტო განაცხადის პროცესი

საგრანტო განაცხადის პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 4. საგრანტო სახელმძღვანელო.

8. მდგარდობა

ახალქალაქის LDS -ში აღწერილი მიზნების მიღწევაზე და შესაბამისი ამოცანების გადაჭრაზე პასუხისმგებელი არის ახალქალაქის LAG -ი. თავის მხრივ, ეს დოკუმენტი წარმოადგენს მთავარ სამაგიდო დოკუმენტს ახალქალაქის LAG -ისთვის, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს LAG -ის ფუნქნციონირება. ახალქალაქის LAG – ი და მის მიერ შემუშავებული LDS კი უნდა იყოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სასოფლო განვითარების ხელშემწყობი. იხილეთ შესაბამისი გრაფიკული გამოსახულება ქვემოთ:



ეს სტრატეგია განახლებულია 2020 წლის ოქტომბერში. ამ დროისათვის LEADER მეთოდოლოგია არ არის სახელმწიფოს სასოფლო განვითარების პოლიტიკის ნაწილი. აქედან გამომდინარე LAG - ის მდგრადობის შენარჩუნება და მის მიერ შემუშავებული LDS - ის განხორციელება ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს.

დანართი 9 წარმოადგენს ENPARD - ის ფარგლებში დაფინანსებული "სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში" პროექტის გასვლის (Exit) სტრატეგიას, სადაც აღწერლია მდგრადობის შესანარჩუნებლად საჭირო ქმედებები და რეკომენდაციები. ამავე დოკუმენტში რეკომენდირებულია, რომ ახალქალაქის LAG - მა მოცემული კონტექსის გათვალისწინებით შეადგინოს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება რა ქმედებებს, როდის და როგორ განახორციელებს LAG - ი იმისათვის, რომ შეინარჩუნოს საკუთარი მდგრადობა და ამავდროულად განახორციელოს მის მიერ LDS - ში დასხული მიზნების შესრულება.

ქვემოთ მოცემულია LAG - ის სამოქმედო გეგმა 2020 -2024 წლისათვის. თუმცა საჭიროების მიხედვით, პერიოდულად შესაძლოა მოხდეს მასში, ისევე როგორც LDS - ის სხვა პუნქტებში ცვლილებების შეტანა ახალქალაქის LAG - ის მიერ.

9. სამოქმედო გეგმა

შენიშვნა: სამოქმედო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია, რომ ახალქალაქის LAG - ს არ გააჩნია ფინანსური რესურსი, არ აქვს ოფისი და საჭირო აღჭურვილობა, შესაბამისად შეზღუდულია LEADER - მეთოდოლოგიისათვის დამახასიათებელი ქმედებების განხორციელებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმაში ყურადღება გამახვილებულია LAG - ის მდგრადობისათვის საჭირო ქმედებებზე, LDS - ის ამოცანების გადაჭრა კი უნდა მოხდეს თანმიმდევრულ რეჟიმში. სამოქმედო გეგმაში შეტანილია მარტივი ინდიკატორები, იმისათვის რომ ახალქალაქის LAG - მა შეძლოს თვითმონიტორინგი და LDS - ის განხორციელების შეფასება. რეკომენდირებულია, რომ სამოქმედო გეგმა შეიცვალოს პერიოდულად არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

კავშირი LDS -ის ამოცანასთან ა	აქტივობა	განმახორციელებელი და სავარაუდო პარტნიორი/დონორი	სავარაუდო დრო	ინდიკატორი
LDS - ის ოთხივე ამოცანა	LAG - ის შეხვედრები (მათ შორის ონლაინ) LEADER - ი მეთოდოლოგიის შესაბამისი აქტივობების განხილვის მიზნით	ახალქალაქის LAG – ი	ყოველ-კვარტალურად 2021-2024	LAG -ის შეხვედრების მოკლე ანგარიშები
LDS - ის ოთხივე ამოცანა	LAG-ის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები (მათ შორის ონლაინ) საჭირო აქტივობების დაგეგმვის და განხორციელბის მიზნით	ახალქალაქის LAG – ის სამუშაო ჯგუფი	ყოველ-კვირეულად 2021-2024	LAG - ის სამუშაო ჯგუფის შეხვედრების მოკლე ანგარიშები
	დაინტერესებული მხარეების სიის განახლება	ახალქალაქის LAG- ის სამუშაო ჯგუფი	ყოველ-წლიურად 2021- 2024	ყოველწლიურად განახლებულია დაინტერესებული მხარეების სია
	პოტენციური დონორების სიის	ახალქალაქის LAG- ის	ყოველ-	ყოველწლიურად

	შედგენა	სამუშაო ჯგუფი	წლიურად 2021- 2024	განახლებულია დონორების სია
LDS - ის ოთხივე ამოცანა	კომუნიკაცია ადგილობრივ ხელისუფლებასთან. არსებული შესაძლებლობების და/ან სირთულეების განხილვა პოტენციური თანამშრომლობის მიზნით.	ახალქალაქის LAG- ის სამუშაო ჯგუფი	ყოველ-თვიურად 2012 -2024	ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეხვედრების შესახებ მოკლე ანგარიშების შესაბამისი რაოდენობა
LDS - ის ოთხივე ამოცანა	კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან და დონორებთან არსებული შესაძლებლობების და/ან სირთულეების განხილვა პოტენციური თანამშრომლობის მიზნით.	ახალქალაქის LAG- ის სამუშაო ჯგუფი	ყოველ-თვიურად 2012 -2024	ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეხვედრების შესახებ მოკლე ანგარიშების შესაბამისი რაოდენობა
LDS - ის ოთხივე ამოცანა	ფონდების მოძიება: ინფორმაციის მოპოვება მიმდინარე პროექტებზე, შესაბამისი განცხადების დაწერა და წარდგენა.	ახალქალაქის LAG- ის სამუშაო ჯგუფი	ყოველ-თვიურად 2021 -2024	დაწერილი და წარდგენლი განაცხადები;
LDS -ის ამოცანა 1	სიტუაციური ანალიზის გაკეთება ადგილობრივი ეკონომიკის მამოძრავებელი დარგების შესახებ. შეხვედრები შესაბამისი დარგების წარმომადგენლებთან ინფორმაციის გაცვლის და	ახალქალაქის LAG- ის სამუშაო ჯგუფი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივი მეწარმეები, შეასაბსამისი დარგის სხვა	იანვარი - ივნისი 2021 წელი; იანვარი - ივნისი 2023 წელი;	შეხვედრების ანგარიშები; განხორციელებული პროექტები;

	პოტენციური თანამშრომლობის მიზნით.	სამთავრობო და არასამთვარობო წარმომადგენლები.		
LDS -ის ამოცანა 2	სოციალური ინტეგრაციის, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის და გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეხვედრების გამართვა ინფორმაციის გაცვლის, სიტუაციური ანაზლიზის გაკეთების და თანამშრომლობის მიზნით.	ახალქალაქის LAG- ის სამუშაო ჯგუფი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერია, შეასაბსამისი სამთავრობო და არასამთვარობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.	ივლისი - დეკემბერი 2021 წელი; ივლისი დეკემბერი 2023 წელი;	შეხვედრების ანგარიშები; განხორციელებული პროექტები;
LDS - ის ამოცანა 3	ტურიზმის სააგენტოსთან, სასტუმროებთან, და ამ სფეროში ჩართულ სხვა წარმომადგენლებთან; კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ მერიასთან შეხვედრების გამართვა,	ახალქალაქის LAG- ის სამუშაო ჯგუფი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერია; ტურიზმის განვითარებაზე და კულტურული მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი და რელევანტური სამთავრობო და არასამთვარობო ორგანიზაციების	იანვარი - ივნისი 2022 წელი; იანვარი -ივნისი 2024 წელი;	შეხვედრების ანგარიშები; განხორციელებული პროექტები;

		წარმომადგენლები.		
LDS - ის ამოცანა 4	ადგილობრივ ხელისუფლებასთან; ეკოლოგიის და გარემოს დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელ და რელევანტურ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვდრები, ინფორმციის გაცვლის, სიტუაციური ანალიზის და პოტენციური თანამშრომლობის მიზნით .	ახალქალაქის LAG- ის სამუშაო ჯგუფი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერია; ეკოლოგიის და გარემოს დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი და რელევანტური სამთავრო-ბო და არასამთავრობო ორგასნიზაციები.	ივლისი - დეკემბერი 2022 წელი; ივლისი - დეკემბერი 2024 წელი;	შეხვედრების ანგარიშები; განხორციელებული პროექტები;
LDS - ის ოთხივე ამოცანა	GALAG - შეხვედრებში მონაწილეობა და მხარდაჭერა LEADER - მეთოდოლოგიის შენარჩუნების და განხორციელების მიზნით.	ახალქალაქის LAG - ი; GALAG - ი;	რეგულარულად 2020 – 2024 წელი;	შეხვედრების ანგარიშები;
LDS - ის ოთხივე ამოცანა	საქართველოში არსებულ სხვა LAG - ებთან კომუნიკაცია კოორდინაციის და LEADER - ის მსგავს, ერთობლივ პროექტებზე პოტენციური თანამშრომლობის მიზნით.	ახალქალაქის LAG - ი; საქართველოში არსებული სხვა LAG-ები;	რეგულარულად 2020 – 2024 წელი;	შეხვედრების ანგარიშები; განხორციელებული პროექტები;
LDS - ის ოთხივე ამოცანა	ევროპულ LAG - ებთან და LEADER ორგანიზაციებთან კომუნიკაცია გამოცდილების გაზიარების და LEADER - ის	ახალქალაქის LAG - ი; ევროპული LAG - ები; ევროპული სასოფლო განვითარების ქსელები -	რეგულარულად 2020 – 2024 წელი;	შეხვედრების ანგარიშები; განხორციელებული პროექტები;

	მსგავს, ერთობლივ ტრანსნაციონალურ პროექტებზე პოტენციური თანამშრომლობის მიზნით.	ELARD; ENARD; სხვა;		